

ՀՅՈՒՅՆԻ ՀՅՈՒՅՆԻ

No 4

306080

1934.

## C O N T E N U :

---

- 1) Correspondance échangée entre le Catholicos-Patriarche de toute la Géorgie CALLISTRATE et le Métropolite de l'Eglise autocéphale de Pologne DYONISIOS.
- 2) Chronique du monastère de St-Jean-Baptiste (XVIII-ème siècle) ..... Gr. Péradzé
- 3) Le « Chérubicon » ( Hymne des Chérubins) ..... Gr. Péradzé
- 4) Nécrologie ..... Gr. Péradzé
- 5) Note de la rédaction.

Adresse :

DJVARI VAZISSA («La Croix de Ste Nino»),  
4, Rue Récamier, Paris (7<sup>e</sup>)

---


## შ ი ნ ა რ ს ი :

---

- 1) მიწერ - მოწერა სრულიად საქართველოს კათალიკოს - პატრიარქ კალისტრატესი პოლონეთის ავტოკეფალურ ეკლესიის მიტროპოლიტ დიონისთან.
- 2) ქრონიკა იოანე ნათლისმცემლის მონასტრის მე-18 საუკუნის. — — — — — გრ. ფერაძე.
- 3) „რომელი ქერუბიმთა“. — — — გრ. ფერაძე.
- 4) ნეკროლოგი — — — — — გ. ფ. *Georgij Gjelasj*
- 5) რედაქციისაგან.

მისამართი :

**“DJVARI VAZISSA”, 4, rue Récamier, Paris 7.**



៩៨០៩១ ៦០៦៣៦

ქართველ ქართლეალი დოკებელ მეცნიერ


၂၆၃၁ၬ၉

# LA CROIX DE SAINTE NINO

Bulletin paroissial de la Paroisse orthodoxe  
Géorgienne de Paris

Nº 4.

៩៨០៩០  
1934.



## Տ Ի Ր Ա Բ Ո Յ Ջ .

სრულიად საქართველოს კათოლიკოზ - პატრიარქის  
მიერ გადმოგზავნილი მოსალოცი წერილები მათ უნეტა-  
რესობისადმი ვარშავისა და სრულიად პოლონეთის მი-  
ტროპოლიტ დიონისესადმი.

## 1. საშობაო მოლოცვა.

სრულიად საქართველოს კათოლიკოზ - პატრიარქი.  
1934 წ. იანვრის 3. № 118. ტფილისი.

თქვენო უნეტარესობავ, მოწყალეო მწყემსთ-  
მთავარო და კეთილო მამაო!

ქრისტიანულ დიდთა და წმიდათა დღესასწაულთა, განსაკუთრებით დაუსაბამო სიტყვის განკაცების დღის მოახლოვებისას, მთელის ჩვენის არსებით ვგრძნობთ, რომ ვართ შვილნი ერთისა მამისანი და ქმანი ქრისტეს მიერნი.

ამა გრძნობითა გამსჭვალულნი, სრულიად სა-  
ქართველოს საკათალიკოზო სინოდთან ერთად,  
ძმურის ამბორის ყოფით, მოგილოცავთ ოქვენო  
უნეტარესობავ, ქრისტეს შობის დღეს და ვეველრე-  
ბით ბეთლემსა შინა დაბადებულს, მზეს სიმართლი-  
სას, დაგიცვასთ ოქვენ და ოქვენის ბრძნულის ხელ-

მძლვანელობის ქვეშე მყოფნი ჯანის სიმრთელითა  
და სულის სიმტკიცითა ქვეყნის მაცხოვრის ტკბი-  
ლის უღლის ღირსულად ზიდვისათვის.

თქვენის უნეტარესობის სიყვარულით გულსა-  
ვსე, თანამწირველი და ქრისტეს მიერ ძმა სრუ-  
ლიად საქართველოს კათალიკოზ - პატრიარქი და  
მცხეთა ტფილისის მთავარეპისკოპოსი

### კალისტრატე.

მის უნეტარესობას ვარშავისა და ვოლინიის და სრუ-  
ლიად პოლონეთის მართლმადიდებელ ეკლესიის მიტრო-  
პოლიტს უნეტარეს დიონისეს.

---

## 2. სააღდგომო მოლოცვა.

სრულიად საქართველოს კათოლიკოზ - პატრიარქი.  
1934 წ. აპრილის 3. № 140. ტფილისი.

თქვენო უნეტარესობავ, მოწყალეო მწყემსთ-  
მთავართა მთავარო და მამათა მამაო !

მოახლოვდა ქრისტე მაცხოვრის აღდგომის  
ბრწყინვალე დღესასწაული, როდესაც „ცანი ყოვ-  
ლად ღირსებით მხიარულობენ და ქვეყანა იშვებს“  
ზეიმობს რა „სიკვდილითა სიკვდილის დათრგუნ-  
ვას, ჯოჯოხეთისა შემუსერას და ახლისა ცხოვრე-  
ბისა დასაბამს“.

დღესასწაულთა ესე დღესასწაული ყოველთა  
აღავსებს სიხარულითა და იწვევს მორწმუნეთა ძმუ-  
რი სიყვარულით ურთიერთის ამბორის ყოფად და

ძლევისა გალობისა წართქმად : „ქრისტე ოღვა“  
აღტყინებული ამა ვითარითა განცდითა ზომიერება  
ჩვენი, საქართველოს საკათალიკოზო სინოდთან,  
მწყემსომთავართა, მწყემსთა და სამწყსოსთან ერ-  
თად ვისწრაფით თქვენის უნეტარესობისადმი და  
თქვენს მიერ ხელმძღვანებულ მღვდელმთავართა,  
მღვდელთა და მორწმუნე ერისადმი და ანგელო-  
ზისა ხმითა მოგესალმებით : „ქრისტე ოღვა!“.

სრულიად საქართველოს კათალიკოზ - პატრია-  
რქი, მცხეთის და ტფილისის მთავარეპისკოპოზი

### კალისტრატე.

მის უნეტარესობას, ვარშავისა, ვოლონისა და სრუ-  
ლიად პოლონეთის მიტროპოლიტს უნეტარესს დიონისეს.



## ქ რ თ ნ ი კ ა

### იოანე ნათლისცემლის მონასტრის

მე-XVIII საუკუნის.

წარსულში ესე ცნობილ და მრავალმნიშვნელოვან ჩვენ კულტურულ ცხოვრებაში და ისტორიაში მონასტერთა ისტორიანი სამწუხაროდ ჯერ შესწავლილნი არ არიან. რა ვიცით ჩვენ ცოტაოდენ და ისიც ხანდისხან პრობლემატიურ და არა ისტორიულ ფაქტების გარდა ისეთ მონასტერთა ისტორიიდან, როგორიც იყო გელათი იმერეთში ან მარტვილი სამეგრელოში ან შიომღვიმე ქართლში — ვითომ ისტორიანი ქართველ ახალშენთა იყოს უკეთ ცნობილი; ესეც მე მგონია სიმართლეს არ შეეფერება. — ივერიის ათონის მონასტრის შესახებ ან ჯვარის მონასტრის შესახებ წყარონი ჯერ შესწავლილნი არ არიან — უკანასკნელის ისტორია ჩვენ მეცნიერებაში განმტკიცებულ აზრით, ჩვენთვის იწყება ითანე პროხორის დროიდან ე. ი. მე-11-ე საუკ. იმ დროს როდესაც ითანე პროხორი უნდა ჩაითვალოს ამ მონასტრის განმანახლებლად თუ გინდაც სრულ დარღვევიდან, ისე რომ ეს განახლება უფრო ძნელი ყოფილიყოს ვიდრე აშენება: სინამდვილეში კი ეს მონასტერი ერთ - ერთა ძველთაგანი უნდა იყოს, სადაც შეიძლება თვით კირიონ I-ლი იღებდა განათლებას. სხვა მონასტრების შესახებ სახელების გარდა არა ვიცით რა. მომეტებული ნაწილი

წყაროთა უკვე დღეს აღარ არსებობს; დროთა უმშა და აგრეთვე იმ ერებმა, ვინც ჩაიგდეს ეს ქართველთა საჭ-კვიდრებელი ხელში, მოსპეს და ის მცირე რაც დარჩენი-ლია და მოიპოვება მუზეუმებში ან და დიდ წიგნთსაცა-ვებში, ლირსია შესწავლის და გამოქვეყნებისა.

წარსულ წელს 1933, ივლისის დასაწყისში მომიხდა ყოფნა რამოდენიმე კვირით ოქსფორდში, სადაც ვმუშა-იაბდი ცნობილ ოლივერ უორდროპის მიერ ბოდლეიინი. წიგნთსაცავისადმი შეწირულ ქართულ მდიდარ კოლე-ქციაში. რომელიც 75 ხელთნაწერს შეიცავს და რო-მელთა კატალოგი ინგლისურად (სამწუხაროდ ჯერ გა-მოუქვეყნებელი) შედგენილია ქალბატონ ეკა ჩერქეზი-შვილის მიერ.

აღნიშნულ დროს ჩემი იქ ყოფნისას, მთელი ჩემ-ყურადღება იყო მიპყრობილი საქართველოში სხვადასხვა დროის მოგზაურობათა შესწავლას და გარდა ამისა მაინ-ტერესებდა ძლიერ მოგზაურობანი პალესტინაში. ვკრე-ცდი ცნობებს მოგზაურების ქართულ მონასტერთა შე-სახებ პალესტინაში. ქართველ ხელნაწერთა კოლექციას, ცოტა თუ ბევრად ვცნობდი ჩემ იქ წინა ყოფნის ხანიდან, მაგრამ რაკი შემდეგ დამირჩა დრო, მიუბრუნდი ისევ ჩელნაწერებს; სამწუხაროდ დრო ძლიერ ხანგრძლივი არ აღმოჩნდა, რამდენიმე დღის შემდეგ გამომიძახეს პარიზი. იმ ხელნაწერის, რომელმაც შემდეგ მთელი ჩემი ყუ-რადღება მიიპყრო, გადმოწერა მთლად ვერ მოვასწარი; მისი სრულიად გამოცემა უნდა იყოს მორიგი მიზანი ჩვენი მრევლის და ეხლა კი მხოლოდ ის ცოტაოდენი ცნობანი, რომელიც წამოვიდე თან. თუმცა ეს ხელნა-წერი შეიცავს ცნობებს ითანე ნათლისცემლის მონასტ-რის გარდა, აგრეთვე დავით გარესჯის მონასტრის ცხო-

ვრებილანაც, დავარქვი მას სახელად „ნათლისცემლის კრონიკა“, რაღვანაც მისი ავტორი იყო წევრი ნათლის-ცემლის მონასტრის და იქავეც ეჭამა.

ხელთნაწერი № 56, არ იპყრობს ყურადღებას არც თვის სიძველით; გადაწერილია 1798 წელს მომწვანო ქალალზე, არც თვის ფორმატით—მაგ. იმ შესანიშნავ დაუზარმაზარ პალესტინის პატერიკონთან შედარებით, რომელიც გადაწერილია თვით ითანე პროხორის მიერ (იქვე mss. georg. b. 1) და სპეციალურად აღწერილია ცნობილ ბოლანდისტ Peeters-ის მიერ (de codice hiberico, Analecta Bolandiana, 31 (Bruxelles, 1912)). არის იგი მხედრულათ დაწერილი, მისი ფორმატია  $6\frac{3}{4} \times 4\frac{1}{2}$  და შეიცავს 236 გვერდს.

შინაარსი : შესავალი გვ. 1-5; განმარტება ლიტურ-ლიის 6 - 43; განმარტება მამაოჩვენოსი 44 - 53; განმარტება მაზარის კურთხევის 54 - 73; განმარტება მონაზონებისა 74 - 97; ლვთივ - სულიერნი თხრობანი 98 - 192; ცხოვრება ონესიფორესი 193 - 220; ლოცვა ჯვარ - შემოსილ სტავროფორესი 221 - 228; მოკლე მოთხრობა თვით პორფირესთვის 229 - 233; ეპიტაფია სტავროფორესი, საფლავსა ზედა პორფირისსა 234 - 236.

ფორმა დიალოგია ცნობილი ბერულ და პატრიოლოგიურ ლიტერატურაში სულიერ მამის სტავროფორის (ე. ჯვარმოსილის) და მის სულიერ შეილის პორფირეს შორის. უკანასკნელი აძლევს კითხვებს და პირველი მას

უპასუხებს („იეროდიაკონმან პორფირი ჰეითხა ღვთივსულიერსა მამასა თვისსა მღუდელ-მონაზონ სტავროფორეს მეტყველმან“), მხოლოდ ცხოვრება ონესიფორესი უნდა იყოს შედგენილი ონესიფორეს ხორციელ შვილის იეროდიაკონ იოანეს მიერ, მაგრამ შემდეგ სტილისტიურად გასწორებული სტავროფორის მიერ.

ჩემი ყურადღება მიიპყრო ხელნაწერის მეორე ნაწილმა 98 გვერდიდან. 98 - 192 მოთავსებული ღვთივ სულიერნი თხრობანი შეიცავენ მოკლე ცნობებს წმინდანთა და მამათა შესახებ იოანე ნათლისმცემლის და მის მახლობელ დავით გარესჯის მონასტრიდან. შესავალი 92 - 100; წმ. დავით გარესჯელისათვის (ნაგულისხმევ არიან სასწაულნი წმ. დავითის ნაწილებიდან ან და მის წმ. სახელის ხსნებით გამოწვეულნი) 100 - 105; ღირსისა ღოდოსთვის 105 - 108; ღირსთა მოწამეთა გარესჯისათა 188 - 118; სასწაულები დავით გარესჯის ძვლებზე და საფლავზე 118 - 120; იოანესთვის მანგლელისა 120 - 127; იოსებისთვის არხიერისა 127 - 131; ვესარიონისთვის მამათმთავრისა 131 - 133; ზენონისათვის არხიერებისა 133 - 137; სერაპიონისათვის წინამდლვრისა 137 - 149; (146 - 147 მოხრობილია სვიმონისათვის წინამდლვრისა); ზაქარია მონაზონი 149 - 151; დანიელისთვის (მოძლვარი სტავროფორესი) 152 - 160; წინამდლვარისათვის მარკოზისსა 161 - 162; ილარიონისთვის 168 - 173; ანტონისთვის 173 - 180; დავით გარესჯის ბერ არსენისთვის 180 - 184; ვიმნე სეფეწულ იოანესთვის 184 - 192.

როგორც ამ სარჩევიდან სჩანს, ნათლისმცემლის ბერებს ჰქონიათ ინტიმიური კავშირი და ხშირი მისვლა-მოსვლა დავით გარესჯის მონასტერში. ბერები ამ ორთავე მონასტრების ამ სიაში არიან ერთმანეთში არეულნი. ზოგს რასაკვირველია ავტორი აღარ მოსწრებია, ზოგნი კი არიან მისი თანამედროვენი.

შესავალი გვ. 100. „ხოლო (ქარაგმები გახსნილია ჩემ  
მიერ) მამა ჩვენი დავით ნეტარი მოვიდა რა ადგილთა  
ამათ უდაბნოთა მრავლითა მოთმინებითა და მოღვაწე-  
ბითა გამობრწყინდა, და აღშენდეს ამათ კერძოთა ათ-  
ორნი მონასტერნი, ვითარცა ათანასის მიერ ათონელისა  
მთაწმიდასა... და აწლა უამთა ამათ ჩვენთა დაშთომილი  
არიან შემცირებული ორნი; ვითარცა ორნი თვალნი მნა-  
თობნი საქართველოსანი. მონასტერი დავით მამისა,  
რომელსა შინა დასამარებულ არს მრავალ მოღვაწე გვა-  
მი მისი და მონასტერი ესე დიდებულისა და ნაშობთა  
უპირატესისა ითვარება ნათლისმცემლისა“.

ა) 101 - 103. კირილესთვის ეპისკოპოსისა, რომელი  
ალიზარდა მასვე მონასტერსა დავითისსა. „ოდეს იქმნა  
იგი (ე. ი. კირილე) მღუდელ-მონაზონ წარსლვა ეგულე-  
ბოდა მორჩილებით სოფლად საჭიროსა საქმისათვის. და  
შთავიდა წმიდისა დავითის საფლავსა. და მხურვალედ  
ილოცა. და ხელპყო აღმოღებდა საფლავისგან მის ნეტა-  
რისა მტვერი ევლოგიად. ვითარცა არს ჩვეულება, რომ-  
ლისა მიერ მსასოებელნი მრავალნი იკურნებიან. და ვი-  
თარცა ხელპყო ჰევდა ხელსა მისსა ერთი ნაწილთაგანი  
ფერცხალი (ფერცხალი არის გვერდის წიბო), რომელიც  
წამოიღო სიხარულით, და არავის უთხრა. რამეთუ განი-  
ზრახა გულსა თვისსა. რათა წარილოს სოფლად, და ვერ-  
ცხლით შეამკოს კეთილად, და აქუნდეს სასოდ თვისსად,  
რომელიცა წარგრაგნა კრძალულებით ქარტსა და მერმე  
წმიდასა მანდილსა: და შთაიდვა წიგნთა თანა სალო-  
ცველთა და წარვიდა სოფლად მოხარული..... და ვითა-  
რცა ვლეს მრავალი ვითარ განაზოგნეს გზანი მოგზა-  
ურთა. მუნ სავანე ჰყვეს მცირედ, რათა საზრდელი მი-  
იღონ, ხოლო თვით კირილე განეშორა მათ მცირედ და  
ილოცა და აღმოიღო, რათა იხილოს და ამბორი უყოს“  
მაგრამ ვეღარ იპოვა.... გვ. 103. „და ოდეს ალასრულა

საქმე თვისი და მოიქცა მონასტრად, შთავიდა მუნვე საფლავად მრავლითა ლმობიერებითა, და კვალად მუნვე იხილა და იცნა ნაწილი იგი. მაშინდა მაღლობით ადიდებდა ლმერთსა“...

რა ლამაზი ენით არის გადმოცემული მეორე სასწაული წმ. დავითის საფლავზედა! გვ. 109 - 110: „რამეთუ უწინარესს ამისსა იყო აქ (ე. ი. ნათლისცემლის მონასტერში) ერთი ძმათა ჩვენთაგანი ეგე ვითარცა სალმობითა შეპყრობილი; რომელსა ყოვლადვე ვერ ძალედვა ზეაღდგომად და მუნ აღვიყვანეთ (ე. ი. დავით გარესჯის მონასტერში) ტვირთითა, და ვიდრემდე სამლოცვა წირვისა შესრულებადმდე სრულიად განთავისუფლდა სენა-სა მისგან. და მირავიდოდით მონასტრად ვიხილეთ კურ-დღელი და მან ძმამან დევნა უყო კურდღელსა მას, და ჩვენ მივეცით დიდება ლმერთსა“.

არა მხოლოდ წმ. დავითის საფლავზედ ხდებიან სასწაულები, არამედ სასოებით და სარწმუნოებით წარმოთქმული ლოცვა და თხოვნა მისდამი ანიჭებს ხსნას ადამიანს. გვ. 104. „ვითარ იგი წარჟყვანდათ წარმართთა ტყვენი მრავალნი, შეკრულნი ხელ-ბორკილითა, და ერთმან მან ტყვეთაგანმან გულს ხმაჲყო მახლობლობა წმი-დისა მის მონასტრისა და მას ლამეს მხურვალითა ცრეპ-ლითა ევედრა ლმერთსა, და წმიდასა მამასა დავითს, რამეთუ ასმიოდა სახელი მისი; და ლოცვისავე მას შინა განეხსნეს ხელნი, და ესრეთ წარმოვლა დიდი იგი ერი წარმეტყველი რომელ ვერც ერთმან მათგანმან სცნა, და მოვიდა მონასტერსა მას შინა. თაყვანისცემით მაღლობასა აღუარებდა წმიდასა მამასა დავითს, და აღიდებ.. და ღვთის საკვირველთ მოქმედებასა“. სასწაულები ხდებიან აგრეთვე წმ. დოდოს და მოწამეთა საფლავებზედ. გვ. 112 - 113. ერთ დღეს ლოცულობენ ლმობიერებით,

დოდოს და მოწამეთა საფლავებზედ (სტავროფორი იყო მაშინ იეროდიაკონი), „შემდგომად გვესმა რომელ მას დღესა იყო ბრძოლა იმ ერთა (?) შორის და სძლეს ქრისტეანეთა და იოტნეს აგარიანნი, ხოლო ჩვენ გულის ხმა ვჰყავთ სარწმუნოებით ვითარმედ ნამდვილვე ესე წმიდანნი მას დღესა შემწე ეყვნეს ქრისტეს მოსახელეთა ერთა საღიდებლად ქრისტე ღვთისა ჩვენისა და გულსა-ვსებით ვმაღლობდით წმიდათა მათ მოწამეთა“.

ბ) ავტორს აინტერესებს აგრეთვე ისტორია ამ მონასტერთა და მოგვითხრობს, გვ. 118 - 119, „ოდეს მოხხრდეს მონასტერნი ესე უსჯულოთაგან, მუნ დავითის მონასტერსა შინა მოსრნეს იგი მამანი; ხოლო აქა ნათლისცემელსა მონასტერსა ესე მამანი, და შემდგომად კახთა მეფემან ალექსანდრე მესამემან შეამკუნა სამარტვილოთა ნაწილნი იგინი მუნ... საცნაურ არს ვითარმედ შემდგომთა უამთა ესე მონაზონი იყო დიდად მოლვაწე, ფრიად მოსურნე ღვთისა, უპოვარების მომთმანე, თავსა სრულებისასა ალსრული და მსასოებელი ამათ წმიდათა, რომელიც მოვიდა სურვილით, მახლობელად ამათსა. დაეყუდა, რომლისა დასაყუდებელი ადგილიცა საცნაურ არს; და მდელოთა იზარდებოდა... და ოდეს მოიწია უამი ალსასრულისა მისისა სცნა მან ღვთისა მიერ და თვისი სამკუდრო სამოსელი თვით შეიმოსა, დაიდგა თავით სართუნალად (შეცდომაა: უნდა იყოს ან სათუნალად ან სასთუნალად. იხ. სულხან საბა-ორბელიანის ლექსიკონი, გამ. აკ. შანიძის (ტფ. 1928), გვ. 290, 299) ქვად, მოიჭიდა ხელნი გულსა ზედა და ესრეთ განუტევა სული, და ვინახთგან კაცი არა ჰყავდა, ყოვლად სახიერმან ღმერთმან ქარისა მიერ ესოდენ მტვერი შეჰყარა, რომელ აღმოავსო სამარტვილო იგი ვიდრემდე აქა დღე-მდე“. შემდეგ ნათლისცემლის მონასტრის განუახლებია

კათალიკოზ ბესარიონს; გვ. 131. „ესე მონასტერი რა განაახლა კაცმან ლირსმან ვესარიონ, რომელი შემდგო-  
მად (შდ) იქმნა მამათმთავარი. იყო იგი ვითარცა ახალი  
ოქროპირი, მქადაგებელი, მადლითა ღვთივ მოცემულთა  
და ჭეშმარიტებისა გამომეტყველი, რომელმან ვიდრელა  
მლუდელმონაზონ იყო აღწერა წიგნიცა მართლისა სა-  
რწმუნოებისა სახილებელად ლათინთა გრძემლად სა-  
ხელდებული.

გ) მამანი წმ. დავით გარესჯის მონასტრის, გა-  
რესჯის მონასტრის ბერებიდან, სამწუხაროდ, მოხსენე-  
ბული არიან მხოლოდ ორნი: მამა ანტონი და მამა არსენი.

გვ. 173 - 180, მამისა ანტონისთვის: ჯერ ყოფილა  
მღვდელი და დეკანოზი იკორთის მონასტერში 1) და იქ-  
მნა მამა შვილთა; შემდეგ დაქვრივდა და შედის ბერად  
გარესჯის მონასტერში. ნათლისმცემლის მონასტრის  
არქიმანდრიტი ეჭვთიმი არის მისი სულიერი მამა და ამის  
გამო მოდის წელიწადში ორჯელ ან სამჯერ (ალბათ  
ალსარების სათქმელად) ნათლისცემლის მონასტერშა:  
შემდეგ თვით სტავროფორი გაბრიელი ხდება მისი მო-  
ძღვარი. აღწერილია უკანასკნელი წუთები მისი ცხოვ-  
რების; სიკვდილის წინ ხედავს წმიდანებს დავით გარე-  
სჯელს, ილარიონ ქართველს, ეკითხება სტავროფორი  
ითანე ზედაზნელს ჰედავო, ხოლო იგი მას არ ჰედავს.  
გვ. 177. და ვარქუ; „რადესა ხედავ მამაო, და მან მრქუა:  
„ეშმაკთა“. ხოლო მე ვარქუ: „ღვთის მშობელს შეევედრე  
რამეთუ იგი დედოფალი იოტებს სულთა მათ ბოროტ-  
თა: და მერმე დამშვიდნა ხატითა, და მხიარულ იქმნა  
პირითა და განცვიფრებულ აქუნდეს თვალნი“.

180 - 184. წმ. დავით გარესჯის მონასტრის ბერის  
არსენისთვის (მისი მოძღვარი ყოფილა მაკარი) მმარხვე-  
ლი, სჭამს პურს რამოდენიმე დღეს მხოლოდ ერთხელ.

„დღესა ერთსა, რომელსაცა სჭამდა იგი პურსა, მოუღებას პური ნატეხი, და გულსა მოუხდა ეშმაკის მანქანებითა განზრახვა, ვითარმედ გუშინ პური არა მიჰამიეს და ხვალეცა უჭმელობა წინა მიძს, და რაც არს ესე მცირე პურისა ნატეხი; ესერა განიგულა მერმე მოეგო მთავარსა გონებასა, და სცნა რომელ ეშმაკის მიერ იყო განზრახვა იგი ამაო; და მყის აღსდგა და მოილო პური იგი ხელითა და განვიდა იდუმალ, მოუწოდა ძალლსა და მოუგდო პური იგი, რომელიცა შესჭამა ძალლმა“.. ეუბნება თავის თავს: შ უბადრუკო თავო ჩემო, არა გრცხვენის რომელ ძალლი უმჯობს არს შენსა, რამეთუ მან უდრტვინველად მიიღო პური იგი და შენ სდრტვინვიდი სიმცირისათვის“.

#### ღ) მამანი ნათლისცემლის მონასტრისანი.

ა) იოსებისთვის, გვ. 127, „და მრავალთა მისთა სათნოებათათვის მღუდელმთავარ იქმნა და შემდგომად მამათმთავარ, და უკანასკნელ სიმღაბლისა სახითა დაუტევა საყდარი მამათმთავრობისა... და ერთსა დაბათაგანსა სცხოვრობდა“. გვ. 128, მოთხრობილია სასწაული იოსების, რომელიც გადმოუცია სტავროფორესთვის: „იოანეს, რომელი აწ მიტროპოლიტ არს“, გვ. 129; „კვალად იტყოდა წმიდისა მისთვის მე, ვითარმად დღესა ერთსა მსხვერპლსა შესწირვიდა იგი ნეტარი და ერთი მერცხალი შემოვიდა ეკლესიად და არა დასცხრა ღალადებისაგან და წივილისა, ვითარცა არის ჩვეულება მერცხალთა; ხოლო პირველად სულგრძელ იქმნა წმიდა იგი მღუდელმთავარი, ნუ უკვე თვით დასდუმნეს, და ვინათვან არა დასცხრა წივილისაგან და მიიწია საღმრთო წირვად საიდუმლოთა სიტყვათა თანა, მაშინ აღხედნა ზე მღუდელმთავარმან და ჰრქუა: „შ მერცხალი უწყოდე, რამეთუ ჩვენი ესე სიტყვანი უმჯობეს არიან, ვიდრე ლა-

ლადება ეგე შენი: ესერა ჰრქუა მუნთქვესვე დაეცა მერ-  
ცხალი იგი ქვეყანად და სული წარხდა. ხოლო მღვდელ-  
მთავარი იგი ვითარ ლმობიერ იქმნა მის ზედა, მოილო  
კვალად მკვდარი იგი მერცხალი ჯვარი დასწერა და  
ჰრქვა მსახურსა, რათა დასდვას გარე ეკლესიისა, და ვი-  
ღრე სრულ იქმნა საღმთო იგი წირვად სრულ იქმნა მე-  
რცხალი იგი და განფრინდა; და მხილველნი ამის საკვი-  
რველებისანი, ადიდებდეს ლმერთსა“. გვ. 130. მთელი ღა-  
მე ატარებს ლოცვაში... „და ოდეს დაბასა მას შინა მკვიდ-  
რობდა, ერთი ვენახი აქუნდა, და რა უამს დაასრულის  
კანონი თვისისა ლოცვისა, ხელითა თვისითა მუშაკობ-  
და, და ნაყოფისა მისგან პყოფდა უფროსად უცხოთა  
შეწყნარებასა, და ღარიბთა მიმართ წყალობასა, სათნო-  
ყოფად ღვთისა ყოვლისა კეთილის მომცემელსა და ალ-  
იარებდენ ამის დაბისა კაცნი ვითარმედ რახოგან“.. გვ.  
113: „ესე სათნო ღვთისა გვამი ამას დაბასა შინა არს,  
არცა მოჰკლებიეს წვიმად ვენახთა ჩვენთა და არცა მო-  
სრულ არს სეტყვად მავნებელი. რამეთუ პირველ მრა-  
ვალგზის იქმნების ესე ვითარი და ამისათვის დიდი სა-  
სოება ჰქონდათ წმიდისა მის და ადიდებდეს ლმერთსა“.

### ე) ითანე მანგლისთვის. 2)

გვ. 121: „და დიდსა როსსიასა შინაცა გამობრწყინ-  
და სათნოებითა და საკვირველებითა“... გვ. 122: „და  
ოდეს მიიცვალა ყოვლად ნეტარი იგი, მრავალ მოღვაწე  
გვამი წმიდისა მოიღეს როსიით და სამეუფოსა ქალაქსა  
ჩვენსა დიდსა ეკლესიასა შინა სიონსა დაასვენეს... და  
ვვერდივ ღვთისმშობლის სალხინებელისა აღუშენეს ლუ-  
სკუმა კეთილი; ხოლო შემდგომად მრავლისა უამისა  
ღვთის მოყვარემან მეფის ძემან საღმთო სურვილით გა-  
ნაღებდა მიტროპოლიტსა მის ეკლესიისასა ლუსკუმა  
იგი იდუმალ, და მეცა გლახაკ ლირს ვიქმენ წყალობითა-

ლვთისათა ხილვასა მის წმიდისასა. და ოდეს აღნალება ლებისა, და ვიხილეთ რომელ მსგავსად უფლისა ცუარ-ცუარი მირონი ასხდა ნაწილთა მისთა წმიდათა და აგ-ბორს უყავ მე ულირსმან სასოებით შუბლსა თხემისა მი-სისასა და კვალად დაკრძალეს ხვაშიადათ“. გვ. 123: გა-ნკურნება მეფის ასულის მის საფლავთან. გვ. 126: „სა-თნოებანი კაცისა მისნი მრავალნი არიან ჩვენგან უცნა-ურნი შვილო, გარნა ესე უმეტეს ყოველთასა ცხადად სჩანს, რომელ ფრიად ლმობიერ იყო გულითა და დიდად მოწყალე გლახაკთა და ჭირვეულთა მიმართ. და ჰყვეს მრავალნი ობოლნი, უცხოთა და გლახაკთა შვილნი და თვით ჰზრდიდა საფასითა და შრომითა. და რომელთა ენების სამლვდელო წესად და რომელთაცა ჰნებავნ ერას კაცობითა სრულჰყოფდა სწავლითა და შიშითა ღვთი-სათა, რომელთაგან მეც მიხილავნ სამლვდელონი, და მრავალსა სახიერებითსა სათნოებასა იტყოდეს მის წმი-დისათვის და აღიდებდეს ყოვლად სახიერსა ღმერთსა“.

### ვ) ჟენონ არხიერებისთვის. 3)

გვ. 133: ბერად ყოფილა იოანე ნათლისცემლის მო-ნასტერში და დასაფლავებულია იქვე; განკურნა ბრძა.

15 წლის შემდეგ სთხოიან მის გვერძე საფლავს და სულნელება საამო გამოდის მის ლარნაკიდან; გარდაცვა-ლების ლაშეს ეშვება ციდამ სვეტი ბრწყინვალე.

### ზ) სერაპიონ წინამძღვრისათვის.

გვ. 139: ლეკებმა წაართვეს მონასტრის მსახურებს სანოვაგით დატვირთული ჯორი, სერაპიონი გამოუდვა მათ და წაართვა: „და შემდგომად ოდეს იქმნა დაზავება, ავაზაკთა მათ და ქრისტეანეთა, იტყოდეს იგინი (ე. ი. ავაზაკნი) განკვირვებეთ: ვითარმედ ვინ იყო ერთი ივა-

მონაზონი, რომელმან დევნა გვიყო ჩვენ, რამეთუ ცეცხლი ვიხილეთ რომელი გამოვიდოდა კვერთხისა მისია - განი“. გვ. 141 - 142: „სერაპიონ წინამძღვრის დროს ნინოწმინდელ ეპისკოპოსად ყოფილა იოსებ. 4) ცხენზედ მჯდომარე ხვდება გზაზედ სერაპიონს, რომელსა გოდორი ჰკიდია“. იმ დროს ავიწყდება ნინოწმინდელს, მაგრამ შემდეგ კი განიცდის საშინელ სვინიდისის ქენჯნას, რომ ცხენი არ შესთავაზა ბერს, რომელიც მუშაკობდა ძმათვის“. გვ. 146: როდესაც სერაპიონი სქემით იმოსება: მონასტრის წინამძღვრად ინიშნება სვიმონი. გვ. 148: „და ჰყვეს მის ნეტარსა მამასა სერაპიონს ორნი ტრედნი. მახლობელად სენაკსა თვისისა მყოფნი, და ოდესაც ისერის მან ნეტარმან, მოვიდიან ტრედნი იგი და თვისითა ხელითა დაენეცვის პური და იგინი ჭამდიან ტაბლასა ზედა მისსა, ხოლო ოდეს მოიცვალა სანატრელი იგი მაშა, წარვიდნეს ტრედიცა იგი, და მიერითგან არღარავის უხილავნ იგინი მოსულნი აქა“.

### თ) სტავროფორის მოძღვარ დანიელისთვის.

გვ. 152 - 160 : „მართლ გამომეტყველი ერთგული მონასტრისა, უდაბნოს მოქალაქე. გვ. 153: „და თუ ვკითხავნ, რომელი სათნოება უმჯობეს არს მამაო - პატიოსანაო, იგი მოწყალებასა ფრიად აქებნ“. გვ. 154-155: „დღესა ერთსა მოვიდა ვინმე მთხოველი მონასტრად ყოველთავე ძმათა მისცეს ძალისაებრ და გულს მოდგინებისა მათისა, გარნა მამასა დანიილს არარად აქუნდა რათამცა მისცა მას და ითხოვა ძმის ვისგანმე სესხებითა ოთხი აბაზი და მისცა მთხოვნელსა მას, და შემდგომად სამისა დღისა უფალი იგი ფულისა სთხოვდა სესხსა, ვითარმედ სახმარ ჩემდა არსო, ხოლო მას შეელმა დიდად რომელ არარად აქუნდა; და მას დღეს მსხვერპლსა შესწირავდა, და დაწყებასა წირვისასა განიპყრნა ხელნა

ღვთისა მიმართ შეტყველმან: „უფალო ყოვლისა კუთი-ლისა მიზეზო და მეცნიერო, მომეც მე წყალობა რათა მივცე ძმასა მას, რომლისა ვალი ზედა მაძს მე“ და ვი-თარცა იწყო წარკითხვად წმიდისა სახარებისა ერთი კაცი ერისაგანი შემოვიდა ეკლესიად სოფლით მოსრული, და სამლოც წირვა მოისმინა; და სრული რა იქმნა წირვად, მივიდა კაცი იგი ხელსა ამბორს უყო და ოთხი აბაზი მისცა მეტყველმან: „ოდესლა სწირო მამაო წმიდაო, მეცა მომიხსენე გლახაკი ესე“ გვ. 157. წყალობითა ღვთისათა მოუვლია ხერსონეთი, მოსკოვი და შემდეგ მოსულა ნა-თლისცემლის მონასტერში. გვ. 158: „ჰნატვრიდა მამა დანიელ დიდისა სულთქმითა აკაკი. აკაკი ტყვედ გაუ-ყიდნიათ. მარჯვე დროს მირბიან ყველანი, მაგრამ ეს არ მისდევს „ამან წარმართმან ფასითა გვიყიდა და პურიცა ამისა ვჭამეთ, აწ უკვე უკეთუ ვევლტოდეთ ამას წარუწ-ყმდების ფასი“. გვ. 158 - 159: „და კვალად ჰნატრიდა მამა დანიილ, მრავლითა სულთქმითა და იტყოდა: „იყო აქა კერძო დიაკონი ვინმე სიყრმესა ჩემსაო, და წარვიდა იგი ქალაქად მამათა მორჩილებითა, და მას უამსა ქალაქ-სა ჩვენსა წარმართნი აგარიანნი ჰმფლობელობდეს, შეი-პყრეს დიაკონი იგი და სარწმუნოებისა უარის ყოფა აიძულეს. გარნა იგი მტკიცე ეგო ჭრისტეს სიყვარულსა ზედა, და მისთვის დაჰკიდეს დიაკონი იგი წარმართთა, და ერგასი თოფი სტყორცნეს, რომელსა ერთიცა კმა ეყოფოდა სიკვდილათ“. გვ. 159 - 160: „და ოდეს მიიწია სრულიად სიბერესა, სენაკსა შინა მყოფ იყო მყუდროე-ბით, და მუნ მიიღის მცირედ საზრდელი, და ოდეს მოი-წია აღსასრული მისი არღარა მოილო სამდღე საზრდელა. მაშინ ვსცანთ მოახლოვება მიცვალებისა მისისა, და იყო მას უამსა მონასტერსა შინა მიტროპოლიტი და მისთანა შემოსილთა მღუდელთა ზეთის კურთხევა აღვასრულეთ, და სულთ ბრძოლისა ლოცვაც წარვიკითხეთ. მრავლითა

ლმობიერებითა და სურვილით ამბორს უყოფდით გლა-  
ხაკ მოწყალებასა და ღვთის მსხვერპლისა შემწირველსა  
ხელსა მისსა და ვევედრებოდით ლოცვასა და იგი გამო-  
გვისახდა ჯვარსა კეთილ შვენიერად. გარნა სიტყვა არ-  
ლარა აქუნდა, რამეთუ მიტაცებულ იყო გონებითა სა-  
კვირველებასა ხედვასა შინა: მაშინ ვიწყე წმიდისა სახა-  
რებისა ანდერძისა კითხვაა, და ოდეს სრულ ვჰყავ სახა-  
რება, მანცა სრულ ჰყო ცხოვრება თვისი“. გვ. 160. მამა  
დანიელს ასაფლავებენ მამა საბას საფლავში „რომელიც  
ლირსმან მამამან საბა განმზადა თავისა თვისისათვის, და  
ჰრქვა მას მაშინ მამამან დანიილ, წინასწარმცნობელისა  
სულითა: „შვილო საბავ, მე უწყი, რომელ შენ სხვასა  
ადგილსა მიიცვალები და მე მაგას საფლავსა შინა დავე-  
მარხები“ და ეგრეთცა იქმნა წინასწართქმულსა ლირსისა  
მამისა დანიილისა. რომელ მამა საბა წმიდად იერუსალი-  
მად წარვიდა მოლოცვად და მუნ აღესრულა“...

### (3) წინამძღვარ მარკოზისავის და სხვათა უცნობ ავტორისათვის ბერთათვის.

მის შესახებ გადმოცემულია შემდეგი მცირე და ლაშაზი  
სასწაული. გვ. 161 - 162. ხარება დღეს ბერებს არა აქვთ  
თევზი და წინამძღვარი მარკოზი გზავნის მათ მინდორში  
მხალის დასაკრებად. გვ. 162. „და ვითარცა ვლეს ორგი-  
ნა სამ უტევნ და ჰკრებდეს მხალსა. ეპა სახიერებასა შენ-  
სა ღმერთო, რამეთუ მფრინველმან დაიკრჩიალა ჰაერთა  
შინა და ალიხილნეს რა ძმათა, რომელ აქუნდა მფრინ-  
ველსა მან ფერხთა თვისთა თევზი, და გარდა მოუტევა  
და დაეცა წინაშე ძმათა მათ ცოცხალი... თევზი კეთილი  
და დიდი რომელ მას დღესა ყოველთა ძმათა კმასაყო-  
ფელ იყო... და მისთვის აწცა კართა ზედა მონასტრისა-  
თა გამოსახულ არიან მფრინველნი და ფერხთა უპყრიეს  
თევზი“.

გვ. 137 - 139. ა) სქემონასონ გელასისთვის, მას სტავროფორი არ მოსწრებია; ბ) ონესიფორესთვის, მისა ცხოვრება აღწერილია სტავროფორის მიერ იეროდია. კონბასა შინა; გვ. 149. გ) ზაქარიასთვის ბერისა, რომელიც მცირედ წინათრე ჩემისა აქა მოსვლისა წასრულებულ იყო. გვ. 151. ზაქარიას კბილი სტკივა, უსივდება ყბა ისე რომ მატლებიც კი უჩნდებიან, მაინც არ მიდის სოფლად სამკურნალოდ, შემდეგ ტანჯვათა შინა ანუგეშებს ლვთისმშობელი: „და ესმა ესე ლვთისმოყვარესა მეფის ძესა 5) და ხატი იგი საკვირველ მან წარიტაცნა და დღეინდელად დღედმდე ჰყავს იგი ცხოველმყოფელი დიდითა, პატივითა“. ეს ზაქარია ბერი ყოფილა იკონომოსი; დ) გვ. 168 - 173. ილარიონ ბერისთვის, თანამედროვე სტავროფორესი, მის სენაკიდან ხედავენ ნათელს; და ე) სეფეწულ ვინმე სახელით იოანესთვის გვ. 184 - 192. სეფეწული ვინმე სახელით იოანე, სიყრმით განვე მიბარებულია იოანე ნათლისმცემლის მონასტისადმი; მოკვდა 16 წლის. გვ. 187, აღწერილია სცენა მისი სკვდილის: „გარნა იგი მომაკვდავი ფრიად შეშინებულ იყო და ზარდაცემულ, და თუალნი განმარტებულად ჰქონდეს, მსწრაფლ ამიერ ხედვიდა და მსწრაფ იმიერ და მყის მარჯულ და მარცხულ, და თავსა წამწამ აქათ და იქით იქცევინ საწყალობლად. ვითარმცა მცემელსა ვისმე თავსა არიდებნ, და ოხრავნ სილრმით გულისად—ჰბორგნ ძლიერად და შფოთავნ უზომოდ. ხოლო ჩვენ მხილველნი ამის საშინელებისანი განცვიფრებულ ვიყვენით და შეძრწუნებულ და ვიკითხეთ წმიდა სახარება. და კვალად სულთა ბრძოლისა ლოცვად, მრავლითა სულქმითა და ცრემლითა ვევედრებოდით კაცთ მოყვარეობას ლვთისასა“... გვ. 192: „და მიერითგან აქამომდე, ოდესლა მოვიხსენო სიყვარული კეთილობისა მისისა, და უმეტესად საშინელება მიცვალებისა მისისა. ზრზოლა ედების

სულსა ჩემსა და ძრწოლა ძვალთა ჩემთა, და ამას სიტყვა-  
სა სხვანიცა მაშინდელნი მხილველნი აწცა მეტყვიან; და  
მრავალთა მრავალი ლმობიერებად შეემოსების სმენითა-  
ცა. გარნა იყავნ ყოვლად წმიდა სახელი უფლისა კურთ-  
ხეულ ამიერითგან და უკუნისამდე“.

### თ) ცხოვრება ონესიფორესი.

გვ. 193 - 220. ეს ცხოვრება დაწერილია ონესიფო-  
რეს შვილის იეროდიაკონ იოანეს მიერ, ალბათ სტავრო-  
თორემ შეასწორა სტილი და იწყობა ესე: „ლმერთმთა-  
ვარმან სულმან... რომელი იტყოდა ჩვენ შორის, იყო კა-  
ცი აზნაური ქვეყანასა ქართლისა, ტფილისელი და ცოლ-  
შვილის პატრონი“, დასტოვა ცოლშვილი 1774 წელს და  
შევიდა ბერად ნათლისმცემლის მონასტერში და სახელად  
დაარქვეს ონოფრე; 1784 წ. იღებს სქემას და ერქმევა  
ონესიფორე, იყო ბერად 12 წელი, აქედან ორი უკანა-  
სკნელი წელი სქემონაზონი და დამბლა-დაცემული, გა-  
რდაიცვალა 1786 წელს 79 წლის. მის დროს წინამძვრად  
იყო გერმანე (შემდეგ მღვდელმთავარი) და შემდეგ თეო-  
დოსი. ეს ცხოვრება შეიცავს საინტერესო ცნობებს დავით  
გარესჯის და ნათლისცემლის მონასტრიდან. გვ. 202:  
„ლამესა ერთსა შემოესივნეს ულთონი ლეკნი მონასტერსა  
მას და მოაოხრეს. ეკლესიისა სიმღიდრე იავარჲყვეს, და  
პირმეტყველნი ცხოვარნი ქრისტენი წარტყვივნეს, რო-  
მელთა თანა იყვნეს მღუდელ-მონაზონი მაქსიმე და იოა-  
კიმ და მონაზონი ონოფრე და კერძო დიაკონი ოთხნა  
ხოლო ონოფრე იყო უხუცეს ჰასაკითა და მცხოვან სახითა,  
და ენებათ უწყალოთა მათ, რათა მოჰკლან იგი. გარნა  
ყოვლად სახიერი ღმერთი არა შეუნდობდა და უმეტესად  
მას სტანჯვიდნენ სარწმუნოებისა ჩვენისა მტრობითა“. რადგანაც ლეკების მიერ მონასტრები სრულიად მოოხ-  
რებულია, წინამძღვარი თვით მიდის სათხოვნად; გზავ-

ნიან ონოფრეს ქართლში მონასტრის სასარგებლოდ ფქვილის მოსაგროვებლად; მიღის ცხინვალამდისინ და იქ განკურნა ერთი ცალი თვალით ბრმა აგარიანი, იქიდან მოღის ტფილისში თავის ცოლ-შვილის სანახავად და მოჰყავს მონასტერში თავის უმცროსი ვაჟი იოანე (შემდეგში იეროდიაკონი და მის ცხოვრების აღმწერელი); მოაქვა მონასტერში საზრდო 3-4 წლისთვის სამყოფი; ტყობილობს წინდაწინვე თავის სიკვდილს.

---

შემდეგში მოთხრობილია: а) ლოცვა ჯვარ-შემოსილ სტავროფორესი 221 - 228; ბ) მოკლე მოთხრობა თვით პორტირისთვის, 229 - 2233; გ) ეპიტაფია სტავროფორესი საფლავსა ზედა პორტირისსა, 234 - 236.

პირველი წერილი სამწუხაროდ არ მაქვს გაღმოწერილი. მეორე იწყება ასე: „შე საყვარელნო, ოდესლა მიიწია ღვთივ სულიერი წიგნი აქამომდე. მაშინ წაფრინდა ვითარცა ტრედი უმანკო, სასურველი შვილი ჩემი, პორტირი... იყო შვილი ბრწყინვალეთა ტომთაგან, შესწირეს ღვთისმშობელს ათი წლის... 16 წლისამ შეიმოსახატი ანგელოსებრივისა სახისა და მიიღო კურთხევა ქრისტეს მიერისა დიაკონობისა... 20 წლისა მიიღო მაზარის კურთხევა, 27 წლის რომ ხდება უნდათ, რომ აკურთხონ იგი მღდულათ; ხდება ავად; გზავნიან სოფლად საეჭიმოდ... იტანჯება მაგრამ ითმენს მოთმინებით... „და შემდგომსა დღესა იხილა ღვთისმშობელი ცხადად მეტყველმან: „აპა ღვთისმშობელი მარიამ, ღვთივ - ბრწყინვალე დედოფალი და მისთანა ანგელოსთა მშვენიერებანიო... ესე რა წარსთქვა ყოვლითა დაწყნარებითა. გამოისახანიში პატიოსნისა ჯვარისა. მიწვა და მიიძინა ნეტარმან

ძილი იგი მართალთა, ვითარცა შვენის წმიდათა და სათნოთა; მის დააფლავებას ესწრება ეპისკოპოზი სტეფანე“.

ეპიტაფია სტავროფორესი საფლავსა ზედა პორფირისსა (ე. ი. სიტყვა სულიერ მამის თავის სულიერ შვილის დასაფლავებაზედ).

1. ეპა ღვთივ სულიერო შვილო, და სულებრ საყვარელო ძმაო და საჩქმუნო მეგობარო პორფირი, აპა მოსრულ არს მეგობარი მეგობრისა შენისა და სასურველი სიყვარულისა შენისა ღირსებისა გვირგვინი მღუდელ-მთავრობისა და მეუფე საწადელი სიწმინდისა შენისა.
2. აღდეგ საყვარელო და მიეგებე ყოვლად საწადელითა მგალობლობითა შენითა შენთვის მოსრულსა მეუფესა. აღსდეგ და თანამწირველობით პმსახურე მღუდელ-მშვენიერებით მსხვერპლის შემწირველსა შენთვის და მიიღე მადლი და კურთხევა ღვთივ კურთხეულო ძმაო.
3. შენდა არს ჭეშმარიტად მადლი ესე ვითარისა სამლოოდ მსახურებისა. შენდა მონიჭებულ არს კეთილ გონიერებით პატივისცემა. პატივის მცემლისა ღვთისა, და შენდა შვენის სასურველი პატიოსნება. ვინაჲთგან ღირსებით მსახური ძისა პატივცემულ იქმნების მამისა მიერ, რამეთუ საღაცა მე ვიყავ მუნცა მსახური ჩემიო.
4. საღა არიან სანატრულო ძმაო პირისა შენისა შვენებანი, საღა არიან ბრწყინვალენი ნათელნი თვალთა შენთანი, საღა არიან საწადელნი ტკბილი სიტყვანი ბაგეთა შენთანი, საღა არიან ხმა ხელოვებით შემკულებანი გალობათა შენთანი. საღა არიან კეთილ მშვენიერებით მწერლობანი თითთა შენთანი? ჭ მე რამეთუ დაეცადა უუამოდ.
5. ჭ საყვარელო რაღ დაგიწუხავნ თვალნი, თვალო ყოვლისა კეთილობისაო, რაღ დაგიდუმებია ენა სულისა ცხოველისა ორლანო; რაღ დაგიცადებია ხმა ანგელოსებრივ წმიდა არსობით გალობამ. და რაღ დაგიყოფიან ოქროს წყარომ სიტყვათა

შენთა, სათხო მყოფელი სულთა მრავალთა. 6. გარნა შენ ყოვლად ლირსო, წინაშე ყოვლად წმიდისა სამებისა იშვები სულითა, სულო მართალო და საწიდელო, და განიცდი დიდებასა ლვთისასა, რომლისად სიყრმისად სურნილ იყავ. და ჩვენც გამოგვიცხადე ბრძენო. სერაფიმნა უზესთაეს არიან ანუ საყდარნი, რომელთათვის ვშაეგობდით (ვშაგობდით?) წერილთა გამოძიებითა. 7. ესე შეიწირე ლირსო, გვირგვინისაგან მემსხვერპლეობა. და მამისაგან გულსმოდგინება, და მეცა მსწრაფლ წამიყვანე შენთანა. სავანესა მას შენსა სამკვიდრებელსა, და შეიწირე შვიდ მუხლედნი სიტყვანი, გულისა ტკივილით აღმოთქმულნი, ვითარცა ჯვარზე დამსჭვალულსა შვიდნი სიტყვანი ძისა ლვთისანი რომელ არს კურთხეულ უკუნისამდე”

---

მინაწერი უკანასკნელ ფურცელზედ : „აღმწერელა წიგნისა ამის მღუდელ - მონაზონ გაბრიელ და იოანე, დიაკონიც მისთანავე აღესრულნეს. ესრეთ რამეთუ სნეულება რახმე შეემთხვა მონასტერსა შინა მყოფსა გაბრიელს და გამოვიდა სოფლად, რათა განთავისუფლდეს სნეულებისაგან. და ვითარ განთავისუფლდა თანა წარიყვანა დიაკონი იოანეც და ვითარ მოილოცეს ორივე მონასტერი და მსხვერპლი შესწირეს ერთად, და მესამესა დღესა თვით შეიწირნეს ლვთისა გამოსრულნი მონასტრით უსჯულო ლეკთაგან გაბრიელ თავმოკვეთითა და იოანე თოფით აღსრულდეს. თოუდა მარტსა ი (ია?) სამშაბათსა. (წელიწადი სამწუხაროდ აღნიშნული არა).

---

სამწუხაროდ მხოლოდ ამის გადმოწერა მოვასწარ. ეს წიგნი და მისი ავტორი არ არიან უცნობნი ჩვენ სა-

ეკლესიო ლიტერატურაში, მიუხედავად მისა, რომ კუ-  
კელიძე თავის სასულიერო მწერლობის მიმოხილვაში  
ამაზედ არაფერს მოგვითხრობს. ცნობას შევხდი პლატონ  
იოსელიანის გამოკვლევაში: „აღწერა სიძველეთა ქალაქ  
ტფილისის“, ტფილისი 1866 წ. (რუსულად), გვ. 161,  
შენიშვნა 108; ერთ - ერთი ხელნაწერი ამ აღნიშნულ  
თხუზულების ყოფილა კიდევაც საკუთრება თვით პლ.  
იოსელიანის. ალბათ მოიპოვებიან საქართველოში ჩვენ  
მუზეუმებში ან კერძო პირთა შორის ასლები ამ შრომის.  
ვწუხვარ, რომ ამ უამაღ არ მაქვს ხელთ არც აღწერანი  
ჩვენი წიგნთსაცავების თედო უორდანიასი ან ექვ. თა-  
ყა...შვილის ან და მამა პოლიევეტ კარბელაშვილის, აღ-  
წერანი დავით გარსჯის მონასტრის ხელნაწერთა (დაბჭ-  
ჭდილია „ივერია“-ში № 152, 1886 წელს), რომელთა  
შორის უნდა ყოფილიყო, ალბათ, ერთ - ერთი ასლი ამ  
ნაწერის.

ავტორად აღნიშნულია გაბრიელ მლვდელ-მონაზონი,  
სტავროფორი, ქართულად ჯვარ მოსილი, უკანასკნელნი  
არიან იმავე დროს სათაურშიც აღნიშნულ  
წიგნისა. ჩვენთვის გაუგებარია ჯერ - ჯერობით თუ რას  
ნიშნავს ეს სტავროფირი - ჯვარმოსილი. უნდა ავხსნაო  
ეს სიმბოლიურად ე. ი. რომ მისი ცხოვრება იყო ჯვარი,  
ტანჯვით და ეკლით სავსე, თავისი საკუთარი ხელით  
ასაფლავებს თავის საკუთარ ძვირფას მოწაფეს და შე-  
მდეგ თვითონაც იწირება მსხვერპლად უღმრთო ლეკთა-  
გან; თუ უფრო კონკრეტიულ რამეზედ უთითებს ეს ჯვა-  
რი ე. ი. რომ მას ჰქონდა უფლება ჯვარის ტარების, იმ  
დროს, როდესაც სხვა მლვდელ - მონაზნებს ეს უფლება  
არ ჰქონდათ, ან და იქნება ეს ის „სტავრად“ უნდა იყოს  
„კარგი ოქროქსოვილი ხუცესთათვის“ ე. ი. ნაწილი სა-  
ეკლესიო შესამოსელთა, როგორც თედო უორდანიას აქვს  
აღნიშნული (ქრონიკები I, ტფ.. 1892, გვ. 135). ქართ-

ველ შესამოსელთა ისტორია ჯერ შესწავლილი არაა—  
ისე რომ ამ საკითხის გამოკვლევა მომავლის საქმეა. ეს  
სტავროფორი საკმაოდ ნაკითხი პიროვნებაა, იცის კარ-  
გათ კართული ენა და აგრეთვე საღმრთო წერილი, ქა-  
რთული საეკლესიო ლიტერატურა, როგორც მარტირიკა  
ანტონ კათალიკოზის, გრძემლი ბესარიონის, აგრეთვე  
უცხოც როგორც ანტონის ცხოვრება, წიგნი „სამოთხედ“  
წოდებული (როდესაც მოგვითხობს ბერი ანტონი),  
გარდაცვალებას, გვ. 179, დასძენს: „ესე საკვირველება  
ნამდვილვე მსგავს არს ღირსისა მამისა სისოს  
მიცვალებისა, რომელი წერილ არს წიგნთა მამა-  
თასა, სამოთხედ წოდებულსა) და ცხოვრებას წმ. გერა-  
სიმესი ან მარიამ ეგვიპტელის (გვ. 119), როდესაც მო-  
გვითხრა მეფის გარდაცვალება და მტვრით სამარტვილის  
აღმოვსება, იგონებს რომელთამე ლომის მიერ დამარ-  
ხულთა.

---

ჩვენ თვალწინ იშლება ამ თხუზულებაში ისტორია  
საქართველოს ბერ-მონოზანობის და იმავე დროს თვით ექ-  
ლესის მე-18-ე საუკუნეში. ჩვენ ვხვდებით აქ კათალი-  
კოზ ბესარიონს, რომელმაც სხვა წყაროების ცნობით  
მართლაც განაახლა ითანე ნათლისცემლის მონასტერი,  
შაჰაბაზის მიერ დანგრეული 1712 წელს. (იხილე ანონი-  
მური თხუზულება, История грузинской епархии с при-  
совокуплением обращения в христианство Осетии и других  
горских народов по I января 1825 года (მეორე გამო-  
ცემა, მოსკოვი, 1853 წ.), გვ. 29 - 32; 6) კათ. ანტონი,  
ავტორს მარტირიკის, კათ. იოსებს, რომელიც კათა-  
ლიკოსობდა ანტონის რუსეთში წასვლისას 1757 - 1763  
წლების შუა; ეპისკოპოსთა შორის დიდი უურადლებაა

ავტორის მოქცეული ჩვენი ეკლესიის მე-18-ე საუკუნის  
მნათობის ითანე მანგლელ მიტროპოლიტისადმი, და აგ-  
რეთვე სხვა ბერების ცხოვრება; საინტერესოა რომ ამ  
ბერებს აქვთ კავშირი იერუსალიმთან და იქ მიღიან და  
ერთმანეთში აქვთ სიყვარული და შეგნება იმ საერთო  
და საზოგადო მუშაობის და მოღვაწეობის, რომელთაც  
ისინი მისდევენ. ჩვენ აქ გვაქვს საქმე მხოლოდ დადებით  
ტიპებთან — ატაცებულ, ვიზიონარულ - ენტუზიასტურ  
ხალხთან და ან ვინ გაპბედავდა და წავიდოდა იქ ბერად,  
სადაც მას ყოველ წამს ლეკების თავდასხმა და გვირ-  
გვინი მოწამებრივი ელოდა, სადაც იყო უდაბნო ნამ-  
დვილი, უწყლო, უგზო და უკვლო, სავსე გველებით და  
ქვეწარმავლებით — დაშორებული ძლიერ ადამიანთა ბი-  
ნებიდან! ამის გამო ნათლისცემელი და დავით გარესჯა.  
ყარიაიზის უდაბნო, იზიდავდა ყოველთვის, ამისთანა ატა-  
ცებულ ხალხს; ასკეტებს, რომელნიც თვის ცალკეებას  
მართლაც ღვთის მაღლზედ, კურთხევაზედ - ნებაზედ და  
განგებაზედ ამყარებენ — მათი გონება და გულასყური  
მიმართულია ზეცისადმი და ამ ქვეყნიდან ძლიერ და-  
შორებული. ცხოვრობენ ყოველ-დღიურ სასწაულებით და  
ყველაფერში ხედავენ სასწაულს და საკვირველებას, და  
ამის გამო თვითეულის ცხოვრება არის მიუხედავად გა-  
ჭირვებისა, პოეზია და რომანტიზმი. ვინ რა იყო სოფლად,  
ეს არავის აღარ აინტერესებს, როგორც ის, ვისაც ხელი  
დაუდგია გუთანზედ და უკან არ იხედება, ესეც მთელი  
მათი გონება მისწრაფებულია იმ საგნებისადმი, რომე-  
ლიც მათ წინ არიან, და რამდენი საინტერესო და ღრმა  
პიროვნებაა მათ შორის! რამდენი ადამიანი, რომლის წა-  
რსული იყო კრიმინალისტური, პოულობს იქ ნუგეშს და  
პატიებას ცოდვათა! წავიკითხე სადღაც, მაგრამ სამწუბა-  
როდ, ქალალდებში ვეღარ ვიპოვე ის შენიშვნა, რომ თვით  
აღა-მაჰმად-ხანის მკვლელი, როდესაც აღა-მაჰმად-ხანი

ემზადებოდა ტფილისის მეორედ ოხრებას, ვინმე ქართველი, მისი საკუთარი მონა, მიღის ყარაიაზის უდაბნოში იქ (ალარ მახსოვს, იოანე ნათლისცემლის თუ გარესჯის მონასტერში) იკვეცება ბერად — ესეც მოხდა მე-18-ე საუკუნეში.

საუკეთესო თვისებანი ბერულ ცხოვრების: სიყვარული მყედროებისადმი. უვერცხლობა, სიმშვიდე, მორჩილება და სიმდაბლე არიან სხარტ და ლამაზ სურათებში ნაჩვენები მაგალითებით. სიყვარული და გამოძიება საღმრთო წერილთა (პორფირის და სტავროფორის ძიება მის შესახებ, თუ ვინ უფრო მაღლა არიან: საყდარნი თუ სერაფიმნი!), ვინც ესე სცხოვრობს, ის უკვე ამ ცხოვრებაში განიცდის ნაწილ ნეტარებისას მომავალ ცხოვრების — მან იცის აზრეთვე უამი თვისი სიკვდილის და სცენა მისი გარდაცვალების არის მხოლოდ საზეიმო და ბრწყინვალე გარდაცვალება სიკვდილისაგან ცხოვრებად. ან კიდევ რა კრიტერიუმი უნდა ჰქონდეს ხელში მონასტერს და იქ დარჩენილებს, რომ მართლა ესა თუ ის ბერი ღვთის მიერ მიღებულ და შეწყნარებულ იქმნა! ამის გამო ბერების ცხოვრებაში საერთოდ დიდი ყურადღებაა მიქცეული უკანასკნელ აკტზედ ცხოვრების. ასეა დიდ ბერების და წმიდანების ცხოვრებაში, ესევეა აქ ამ მონასტრის ბერების ცხოვრებაშიც. სამთლებით ხელში ადგანან ძმანი თავზედ სულთმბრძოლავს — ეს არაა გლოვის და მწუხარების დღე, არამედ ზეიმის და სიხარულის ამ მომენტისთვის და სწორედ ამ დღისთვის სცოვრობს და მოღვაწეობს ყოველი ბერი. ამის გამო დიდი გლოვა და მითქმა — მოთქმა გამოიწვია ბერთა შორის, ვინმე ახალგაზრდის (16 წლისა იყო, რომ გარდაიცვალა) იოანე სეფეწულის საშინელმა სიკვდილმა: „რა ისეთი დიდი ცოდვა უნდა ჰქონოდა ამ ახალგაზრდას და ჯერეთ გაუფურჩქვნელს ჩადენილი?“.

სრულიად ამოწურვა იმ მასალის, რომელიც ამ სიმ-

პატიურ შრომაშია, შეიძლებოდა მაშინ, როდესაც იყო  
მთლად გამოცემულ იქნება; აქ მხოლოდ მინდოდა ქართ-  
ველ საზოგადოების ყურადღება მიმექცია ამ ჩვენი კულ-  
ტურის ძეგლისადმი და იმედი მაქვს, რომ შეიძლება  
ვინმემ ან და ჯგუფმა რომელმა იყისრონ ამ თხუზულე-  
ბის სრული გამოცემა.

გრიგოლ ფერაძე.

### შენიშვნები :

1) როგორც აქედან სჩანს, უკვე იმ ხანებში იკორთოს  
მონასტერი ყოფილა გაუქმებული და ის ტაძარი, სადაც  
ასაფლავიან წმ. მოწამენი: შალვა, ელიზბარ და ბიძინა  
გადაქცეულია სამრევლო საყდრად.

2) იოანე მანგლელის შესახებ არსებობს საინტერესო  
ლიტერატურა და საჭიროა რომ მის პიროვნების შესახებ  
დაწერილიყო მონოგრაფია. იოსელიანი, აღწერა ტფ. სიძ.  
გვ. 160 - 162. ანონიმი “Грузины в Астраханской епар-  
хии и отношение к ним местных архиепастырей в 18 веке”.  
Духов. Вѣстник груз. Экзархата 1898 года, № 12, 16,  
18, 20, სამწუხაროდ დაუსრულებელი, იოანე მანგლელის  
შესახებ №16, 6-19. გარდაიცვალა ყიზლიარში 18 მარტს  
1751 წელს.

3) ნაგულისხმევია ალბად ზენონ ალავერდელი, გა-  
რდაცვალებული 1779 წელს.

4) გარდაცვლილია 1711 წელს და დასაფლავებულია  
დავით გარესჯის მონასტერში.

5) საქართველოს უკანასკნელი მეფე გიორგი, და-  
ვით გარესჯის მონ. დასაფლავებულია მისი მეუღლე  
ქეთევან დედოფალი 1782 წელს.

6) დავით გარესჯის მონასტრის შესახებ გვ. 26 - 29;  
ამ შრომიდან მაქვს ცნობანი მე 3, 4 და 5 შენიშვნების-  
თვის.


## ՀՈՅԵԼՆՈ ԺԵԽՇԱՑՈՅՆ

(Եոլցա)

---

1. Հռմելնո վերսպիտա սաօդութլոտ  
ՎԵՄՏԳԱՎՏԵԾՈՒԹ —
2. Ըս ԿԵՐՎԵԼՍՄԿՈԴ ՍԱՄԵԲԱՍԱ ՍԱՄՇԻ-  
ԸՆՍԱ ԱՐՏՈՒՐԱՍԱ ԳԱԼՈՒՐԱՍԱ ՇԵՎԵՇԻ-  
ՀԱՎՈ —
3. ԿՈՎԵԼՈՎԵ ԹՏՈՒԼՈՒ ԸԱՎՔԵՐՈՒ  
ՑՌՈՒՆՎԱՔ!

უცხოეთში მყოფს როდესაც სევდა ნისლი ბურუსი  
გულს დამიბურავს  
არვინ მყავს ახლოს: ვისაც გავენდო ვინც გამიდევნის  
სულიდან ურვას.  
ვისწრაფი ისევ შენსკენ მშობელო, შენ გაქვს წამალი  
კურნება არსის  
ჩემო სამშობლოვ, ჩემო სოფელო, შენ მომარიდე  
თავიდან თარსი!  
მსურს დაბრუნება. აქ დავიღალე, როგორც მოხუცი  
წლეთა სიმძიმით.  
ქუჩამ გამცვითა, ღრიალმა ძრწოლამ და სიყვარული  
კუჭყეში ჩავაგდე  
ჩემო მშობელო მოვილტვი შენსკენ უშენოდ ყოფნა  
დღეს მე აქ მიმძიმა.  
მომეცი ხელი, რომ ფეხზედ დავდგე!  
და საღამო რომ მოგვევლინება—მზე რომ განდევნის  
ყველა მახილველს  
ოცნების ფრთები მე შემებმება და შენსკენ ვიწევ.  
მე შენთან ვარ იქ. არ შეუდრკები მაშინ მახვილებს  
და გადავკოცნი სამშობლო მიწებს.



საღაა ნეტავ ჩემი სამშობლო და ქვეყნის სული დღეს  
სად ბინადრობს?  
რომლის შეპყრობა ვერავის ძალუძს რომელიც იფლობს  
უთვალავ უამ დრო!

გვინდია იყოს მეტეხის ციხე, რომლის სალ კლდეზედ  
ჯვარს ეცვა დედა  
სისხლი ედინა იქ მას ურიცხვი და მოეშორა შარავანდედა.  
და მაინც დარჩა მაინც უნათებს დღეს ყოველ ქართველს  
სისხლიან კვლებით  
და წელში ერთხელ ყველას ანახვებს მტკვარში სასწაულს  
არაბის ძვლების ① ।

მეტეხი არის ჩვენი სამშობლოს გოლგოთის თხემი  
ქრისტე რომ აღწევა!!  
სადაა ნეტავ ჩვენი ბეთლემი გამოქვაბული მწყემსების  
და მზე?!

აწმყოს ძალით დაფანტულს დახურდავებულ ვნებით  
ვერ ძალუძს სხივის შობა და დიდების აღდგენა  
აწმყოს, რომელშიც სული მეტეხის კლდეს გაეცნო  
არა აქვს სიხალისე სიხარულის და ფრენის.

—X—

დღეს გავიგე წარსული, მომავალიც შევიტყე  
მეწვია აღსასრული — ვარ სიკვდილის ტყვე  
მორჩა ამდენ ხნის ცნება, გამოცანაც აიხსნა  
ნუთუ მისთვის ოცნება დრტოდა აქამდისინაც!  
ზღაპრის შედეგს შევეცან, სიზმრის წიგნი აღარ მჭირს  
ბოროტებას გავეცან და გავეცან სოფლის ჭირს.  
ქართლის ბედი ჩვენშია და ჩვენშია სამშობლო  
ვინც რომ ოჩემჩირშია არ იქნება დღეს ობლად.  
იდუმალ ძარღვებით ვგრძნობ რომ მაინც ძლიერი ვარ  
და ჩემ გულში ასე ვბრძნობ ხარ, იქნები, ყოფილხარ  
ხანდისხან კი ვიწვები, მისთვის რისთვის მომესპა  
თამარ მეფის მაწები, აღმაშენებლის სპა.  
მისთვის რისთვის გააკრეს ქართლოსი მეტეხის კლდეს  
ბორკილებით შეაკრეს მისი ხელი რომ არ ვლდეს

სული ბორკილს ვერ ეტყვის<sup>②</sup> მაგრამ თვის ბინას  
შესცვლის  
დამკვიდრდება ულრან ტყეს ან იანგელოზებს ცას.

—X—

მე დღეს ცას ვერ შევსწვდები, მე ვარ ქართლოსის შვილი  
წარმართ გრძნობით ნასახი. ჩემი თავის მტერ მშველი.  
ქართლოსის იფქლიან თესლს გაურიეს ღვარძლები  
ვინმე მავნე ძალებმა (გაიგეთ ვინც არ იცით!)

ნარევ თესლით შობილი ღვარძლი აქ სიწმინდეს სძლევს  
და შეუერთდი მიწას მტკიცე ურყევი ფიცით.

ულრანი ტყე სავსეა ნანგრევებით ტაძრებით  
იქ უწინ ულოცნიათ ჩვენ წინაპრებს ანთებით  
დღეს ნანგრევთა და ნახვით ენა პირში მაძრება.

იქ ვერვის ინახულებ ხელთანთებულ სამთლებით.  
ხალხის სულის გასაღებს შორს ნუ ეძებ, იქ არი  
სული მეტეხის კლდიდან ეშურება ნანგრევებს  
მოგზაურს ღამით აფრთხობს, რაღაც გმინვა საზარი  
ფიქრობს გაუმართიათ იქ ქორწილი ქაჯდევებს.

დადექ სიწმინდით გონების ყური არიდე მიწას ყოველ  
ბიწიერს

მაშინ მერწმუნე შენც მიმიხვდები რომ იქ არავინ  
არვინ ჯვარს იწერს.

ეს არის გმინვა ქართლოსის სულის ოხვრა ქვეყნის  
ვრცელ ვნების კვირაზედ  
ლოცვა: მოხსენი ამდენი ტვირთი და შეიბრალე ერი  
საბრალო

რისთვის სტანჯავ მას ნეტავ რაზედ  
ნეტავ რისთვის ცოდვა აბრალე?!  
მოიხსენ ქუდი და მოწიწებით შეუერთდი გუნდს  
უხილავ სულთა

და როს იქნები შენ მოძმეთ შორის ან გზათ ხვიდოდე  
უთხარი ყოველთ ის რაც გადმოგცეს ასეთი ოხვრით  
ლამით ტანჯულთა

ჯერ: გეპატიოს შენი ცოდვები.

შემდეგ: ვიდოდე. ③

—X—

ეს ნანგრევები მე გავამრთელე ოცნებამ შექმნა იგინი  
სრულად

გარშემო ქვები ქვებზედ დავაწყე — ჭერი დავხურე —  
ჩუქურთმით მოვრთე.

ქართულ გემოვან თვალს შეუფარდე და განიწმინდა რაც  
სჩანდა კრულად.

ანგელოზებმა ფრთა მომაშველეს და გააქანეს  
ქალაქისაკენ.

ქალაქისაკენ: სადაც ტანჯულნი, სადაც მაშვრალნი  
ცრემლეშბი სხედან

ზოგს გულის ყური იქ მიუპყრია კაენის ბეჭდის  
და ლაქისაკენ

ზოგს კი ამძიმებს უზომო სევდა.

ქალაქი არის საბრალო დაბა, ის თავს იწონებს დიდ  
შენობებით

და დღეს კი იგი მთლად გაინაბა და ჩაიმარხა თვის  
შეენება

ის ებრძვის ლუკმას. ქალაქის შვილი ალარ ამლერებს  
ჩანგურს და სიმებს

დათალხულია იგი მას უკან როცა ზარები სწყვიტა  
სამებაშ

ცხოვრების წიგნის ვეშაპი დიდი — რომელიც ჰყლაპავს,  
ჰყლაპავს და ჰყლაპავს

როგორც ყოველი ქალაქი ფლიდი, ყოველ სიწმიდეს  
ამსხვრევს და ლაფავს.

მაგრამ მეტმუნეთ, მეც მიყვარს იგი როგორიც არის,  
როგორიც იყო  
გან ინახულა ათასთა რიგი რიგრიგობითაც გამოიჩინა.  
ჩვენ ტფილისს შენ დღეს ვერ გააკვირვებ ვერც ბიჭითა  
და ვერც უბიწობით  
ის დაგანახვებს ბევრს რამ საკვირველს და ყველას  
თვისი ხვედრი უბოძა  
რაფის +) აჩრდილი დაეძებს ლანდებს, რაფის აჩრდილი  
მის მატიანე  
სამწუხაროა ქალაქს არ ჰყენდეს თვის მომღერალი  
დავითიანი

—X—

განკითხვის დღეს კი როს მაცხოვარი სოფლად ჩამოვა  
ერთი მოსამე  
მაშინ ალსდგება ტფილისს ცხედარი, დაგვირგვინდება  
როგორც მოწამე.  
ტფილისს ვესტუმრეთ ეს იყო დიდი ეპიფანია,  
სასწაულთ ხილეა  
გულს მიღრეკავდა ლაუვარდის რიდე დამამძიმებდა  
ამდენი ხილვა

—X—

ჩვენ გზად კი გვქონდა ტყენი ულრანი მთები სამშობლოს  
ნაცად ნაფერნა  
ძირს მიწას ჰელობდნენ ციცხლნი და სრვანი და  
ამძიმებდენ გადასაფრენებს  
გზაზედ სულები შეკრონენ შეინძრენ: „საით მიღიხარ,  
ვისთან ან რისოვის“

ქალაქისაკენ! ნუთუ არ იგრძენ, მას ალარა აქვს დრო  
ჩვენი ღვთისთვის“!..  
გზაზედ აჩრდილნი მთლად ჩამომშორდნენ, ვიყავ  
მარტო ანგელოზთანა  
და მათთან ერთად ავიგსე ლოდნით თუ ვინ დაგვხვდება  
ჩვენ ქალაქთანა.  
სიომ შეაკრთო ოდნავ სამრეკლოს უცებ გაისმა ნელი  
რაკუნი  
შემდეგ უმატა, უჩქარა რეკამ და განიფანტა მთელი უკუნი  
მწყემსებს მთის მწვერვალს ესმათ ეს რეკა და ცეცხლიც  
ნახეს მცურავი ცაზედ  
შეხვდენ ღვთის სახეს მუხლის მოდრეკით სულ განაბულნი  
უმზერდნენ გზაზედ  
შესწყვიტა თვისი ლექსი ქიტესამ (ის თვის მეგობრებს  
ღამით ართობდა)  
„ხოვლევის იქით არის ფიცესი“ ფიცესს რას საზღვრავს  
ალარ ამბობდა.  
ჩემთვის ერთია გინდა იქ იყოს: მანგლისი, ოლთი,  
მტკვარი არეზა.  
ამ ღამით ზეცა ორად გაიყო, სთქვი ჩქარა შენი  
გულის მურაზი!  
მწყემსების ლოცვა არაა გრძელი, მწყემსის სურვილი  
არაა ღიღი  
შინაარსით კი ისაა ვრცელი და თითო ასო იწონის ოქროთ.  
„დიდება ღმერთსა მაღალთა შინა ქვეყნად მშვიდობა  
და სათნოება ადამის ტომთა“  
ეს იმას ნიშნავს, უნდა მოისპოს ამ ქვეყნად ზაკვა,  
შური ფლიდობა  
ჩვენ ყველანი ვართ ძმები თვისტომნი.  
რევოლუციის მწყემს არაფერი არ გაეგება  
პირველი ცეცხლი კი მან დააგდო ამ ქვეყანაზედ  
და თვის ცხოვრებით, თვის ცხოვარებს ის დაეგება

როგორც ნამგალი მწიფე ყანაზედ.  
 მაგრამ დიდება მაღალთ სამყაროს  
 ღვთისთვის, რომ მხოლოდ მათ დაუტოვოთ.  
 ქვეყნად მშვიდობა ვინ დაამყაროს  
 ან სათნოება კაცთ სათვისტომოდ!  
 დიდება უნდა ამღერდეს სოფლად  
 და ღმერთს მიერთვას, როგორც ზეცაში.  
 მშვიდობა მაშინ არ ივლის ობლად  
 როგორც ეული კომეტა ცაში.  
 ხელში ვიღებ მე დედანს, რადგან თარგმანი კოჭლობს  
 და სულ სხვა აზროვნება მე თავში მიტრიალებს  
 სამ საფეხურის ნაცვლად ლოცვა უფრო მოკლეა  
 შინაარსით და წყებით მძიმდება და რეალობს:  
 „დიდება ღმერთსა, მაღალთა შინა და ქვეყანაზედ“  
 (მძიმეს ვშლი რადგან იგი არაა ორიგინალი)  
 „მშვიდობა კაცთა შორის სათნოიანთა“.  
 ეს უნდა გახდეს სურვილთ ფინალი.  
 მაგრამ ვსპობ ესეთ სურვილს მსჯელობის  
 რა საჭიროა ან რისთვის მინდა?  
 აზრი თვის თავით თავის მთელობით  
 არის უმწიკვლოს ნანატრი წმინდა  
 მე ფაუსტობა არ მეღიმება, ჩვენი ფაუსტიც სულ  
სხვაა წამის  
 ვაგნერობა კი მეთაკილება—მისგან საკმაოდ ვარ განაწამი!



გზა არის შორი და ირგვლივ ბნელა  
 ქვეყანას სძინავს ცოდვებში ხვეულს,  
 ვხედავ: ურემი მოლოდავს ნელა  
 ბორბლით აყვირვებს შარას დანგრეულს.  
 რეკა არ უფრთხობს ძილს სოფელს მძინარს

მხოლოდ დედაკაცს გამოეღვიძა  
და გადახედა ბიჭუნას მცინარს  
(დიღი ხანია იმას ეღვიძა)  
გავარდა გარედ საბრალო ძიძა  
და როს წითელი ზეცა იხილა  
მეტანიობას იხდიდა მიწა.  
ცა და ქვეყანა იპყრობს დღეს შენ შეილს.  
აგი გახდება ქართლოსის მხსნელი  
და საქართველოს გამოუდარებს  
შასში ისახის ბეთანიელი  
ას მიადგება საფლავთა კარებს  
დედას უხარის, დღეს მან იხილა  
იღუმალის წინ ფარდის აწევა  
და ოცნებამაც მე განმიხილა  
რომ გარდიქმნება ქართველი ევა

---

ალიღეთ ბჭენი ამსხვრიეთ კლიტე  
მოდის უფალი ღმერთი ღიდებისა,  
ანგელოზთ ძალნი ჰიმნებსა შლიდნენ  
კიურ სიმშვიდით და მორიდებით  
ხავერდის ხალად მთელი ბუნება,  
ვადაშლილიყო. სამკაულს იღებს  
რომ მომხიბლველი მისი მშვენება  
შეშურდებოდათ ძმათ ვანაიკებს.  
ჩვენ მივდიოდით ეთეროვან გზით  
ბრწყინვა უკვდავი — ბრწყინვა მარადი.  
უცებ მომესმა ყივილი ქათმის  
და გამახსენდა პეტრეს ლალატი.

---

ასეთი იყო ჩვენი სავალი  
სავალი სავსე ნათელ სხივებით

და ყოველ ჩვენგან ფეხებით ნავალს  
ეცვიებოდა ოქროს მძივები  
სვეტიცხოველთან ვიპყარით წუთი  
და ჯვარის საყდარს რომ გადავცილდით  
მივყევით მტკვარის ნაპირებს მრუდეს.  
გზაში სამ წმიდა გალობას ვცვლიდით

---

ცისკრობა იყო მთლად გადასული  
როცა სიონში ჩვენ შევიჭრით.  
მასში აღარ სჩანს ქვეყნის ასული  
სპეტაკი სულით და თავდაჭერით  
დიღმა ზარებმა არ შექმნეს რეკა  
ბანს არ აძლევდა მგალობელთ გუნდი  
ტაძარს არ აჩნდა ხალხების დრეკა  
რამ საზეიმო თუ გნებავს თუნდაც  
მყისვე იცვალა მისი ჩვენება და გარდაიქმნა ვითარცა  
ორბი  
მერწმუნეთ მისი სახის შვენება სულ თვალწინ მიღვას  
— სულ ჩემკენ მორბის  
ათეთრდა მისი გუმბათი, მზებით აყვითლდა ჭერი  
ოქროს ნაირად  
ცით გადმოეშვა ბრწყინვალე შუქი ვით ცისარტყელა  
ნაირ - ნაირად.  
სიონს კი შერჩა ქართველი სახე და გემოვნება  
ქართველი ქალის  
ქრისტიანი 5) მორთულ ფეხამდის თალხი, ნაზი გრძნობით  
და კლდესავით სალი.

---

X


ეს იყო კვირას და უამი დადგა უამის წირვისთვის  
სიონი ქვრივი დათალხული ცეცხლში ელავდა

მოვიდნენ ქვრივნი აქ ნუგეშისთვის და ტირილისთვის  
და ყველას გული უცხოდ ღელავდა  
„რას ნიშნავს, მითხარ, სიონის დედას დღეს უელვარებს  
სპეტაკად ღვარი  
მანგლისის დედა მუდამ მტირალი, დღეს კი ზეიმობს  
და მელიმება  
ნინო ჯვარის წინ, სდგას თვითონ იგი, ხელში უჭირავს  
თავისი ჯვარი

ცხადია ეს თუ მავნე ჩვენება?!

სუნი სუნნელი დღეს სულ სხვაგვარად გუნდრუკს  
ანდრუკუკს

ჭერი ნიოტი დარღვეული მთლად შეცვლილია  
მზიური შუქი ჰგავს ციურ შუქებს  
მთელი ტაძარი გარდაქმნილია“.  
შიგნით უსაზღვრო ნეტარება ყველას აღმერთებს  
და მით ავიწყებს დღიურ ურვილებს  
იღუმალ ძალით ჩვენთან აერთებს  
ჩვენთან აერთებს იმათ სურვილებს.  
ამ წამის განცდა არის უბადლო  
და თუ შენ მშობელს შენ შეხვედრით ვერ მოევლები  
იყავი შენთვის. შეურიგდება თავის მწარე ბედს  
საფლავშიაც კი ღიმილი პირზედ ევლება



წირვა დაიწყო სხივი ანათებს  
დაძველებულ და დაფლეთილ სამოსს  
ჩემი ოცნება მათზედ უნართავს  
აწყემსებს. ბიბლიის მეხბორე ამოს  
მერწმუნეთ! წირვა ბევრი მინახავს  
აქამდისინ კი არ განმიცდია  
თუმცა ვებრძოდი დამკვიდრებულ ხავსს

და ჩემი გული ბევრჯელ მიცდია.  
მინდოდა: სულით ჩავსწდოდი სიღრმეს  
შსურდა ჩემ სისხლზედ ის განმეცადა  
რაიც მე მაშინ მოძღვრებმა მიძღვრეს  
ბევრი ვეწვალე, ბევრი ვეცადე  
მაგრამ ამაოთ! ჩემში ეს გრძნობა  
იყო ნამკვიდრი პაპის პაპიდან  
მას ემჩნეოდა ნესტი და ობი  
როგორც ჩემ მოძმეთ ჩვენი დაბიდან.  
და დღეს კი შევსწვდი, დღეს განვიცადე უცხო სიამე  
უცხო დიდება!  
გული აღმომხდა აქამდის მცოდე — სისხლით აღსავსე  
მსხვერპლათ იდება!  
გონება შესწყდა. ენა დადუმდა, ენა ქართული,  
მოლაპარაკე.  
ჯერ ცივად ტანში მთლად გამაურუოლა, შემდეგ გაათბო  
იგი უზომოთ  
და შევსწვდი ზეცას როგორც არაკებს.  
და დაბლა მიწას ჩემ გოჯის ზომით.  
მაშინ ცხად მექნა მთელი სამყარო, მთელი კაცეთის  
ამაოება  
ძირი და ფესვი კაცთა ცოდვების.  
მათი სიცილის მარაოება  
და შინაარსი მათი ბოდვების.  
შემძულდა თავი! ვევლტოდი დაბას და კაცთ მოედანს  
უდაბურ ალაგს ხანქეთის სალ-კლდეს ვესალმებოდი  
აღარვინ შველას, ლხენას მომიტანს  
გასამგზავრებლად ვემზადებოდი.  
ამ დროს მომესმა ძახილი ციდამ:  
„საით მიიღო საბრალო მონავ?  
დარჩი შენ ერში, გადიქეც ხიდათ  
სოფლის სიმძიმე გოჯზედ ნუ სწონავ!

გიყვარდეს იგი, ევლე მის სახეს  
და მასში სძებნე ღვთის ჩანასახი".

ქართლოსის სულში ღვთის ჩანასახის  
ძნელია პოვნა, გინდ მთლად გაიღოს  
ნეტავ, რის მსგავსად იგი დავსახო  
რა მაგალითი მისთვის ავიღო.  
სოფლათ მოვდივართ დედაქალაქად  
ჯეჯილის სუნი ჩვენ აგვდის ყველას  
ყანამ ნიშანი შუბლს აქანდაკა  
და გვესმის ცოტა ჩვენ მიწის წველის.  
თუ გვსურს რომ მოგვცეს ჩვენ მან ნაყოფი  
ბარაქიანად და ერთი ასად  
ბუნების სიზრქე მას არ ეყოფა  
მას დასჭირდება ხელოვანთ მასსა.  
ამდენ სისხლს ჩვენი რჩეული ძმების  
ქართლის მკერდზედ როს წითლად იღვარა  
ეძლო წალეკა მიწის სიბილწის  
ვითარ ცის წარღვნას და ან ნიაღვარს.  
იმდენი ხორცი, იმდენი ძვალი  
მან ჩაიხუტა როგორც ნადავლი  
რომ მოგვეძებნა ყველა მათ კვალი  
შეგვექმნებოდა ბაბლის ბადალი  
და ჩვენი მიწა კი მიწად დარჩა  
ჭლექი, გამხდარი, სისხლით ლარიბი.  
ნავსი, მოშხამო როგორც რომ ჩარჩი  
თავისთვის ძუნწი, სხვისთვის ურგები.  
ეკალს კუროსთავს, შხამიან ბალახს  
აიმშილს და ცრემლებს და ვაი - ვაგლახს  
ნაცარ ქექიებს და ქონდრის კაცებს  
ჩვენ დღეს ის გვაძლევს.

ღილა შეცურდა ცხოვრების ზღვაში  
და ცხოვრების ზღვა მას დახვდა ლიმით  
შოისვა გვერდით პატარა ნავში  
ხელში კი მისცა წიგნი და სიმი.  
თანაც თვალები მწარედ უხვია  
არ შემკრთალიყო ტალღების ცქერით  
უძირო წყალი მუდამ უხვია  
დანაპირებით და გარდაქელით.  
და ამ ტალღებზედ ბორძიყალობას  
ქალაქში ყველა იმედს ეძახის  
ნავით არ ისმის ტკბილი გალობა  
თვალებ აბმული განიცდის მახეს.



წირვა სრულდება, საზეიმო წილს  
ვალწევთ ყველანი და ნეტარება  
გვადნობს ვითარ ჩვილს ჭუჭყი სასანთლის  
ჩვენ ქერუბიმთა გუნდს ვედარებით.  
ანგელოზთა გუნდს, რომელნიც მარად  
უკუნისამდე დაუსაბამოდ  
ციურ საყდართან მართავენ პარადს:  
„უფალი ღმერთი ჩვენი საბაოთ  
სამჯერ წმიდა არს, მისი დიდებით  
სავსე არიან ცა და ქვეყანა“  
ციურ სპათაგან ის იდიდება  
მაგრამ ამ ქვეყნად ესეა განა?!  
ჩვენ ვედარებით იმ ქერუბიმებს  
ძალგიძს ადარო ქვები რუბინებს  
უგზო უდაბნო აღმაფრენის მატილს  
ან მოლად ჯანსაღი სნეულით შრეტილს,  
ჩვენ ვედარებით იმ ქერუბიმებს

თვალ - წინ წარმიღდგა სულ სხვა ქერუბი  
რომელიც უვლის ჩვენ პირველ ბინებს  
ცეცხლიანი და იქეცი შუბით.  
ჩვენი ქერუბიც იდგა დარაჯად  
კავკასიონს რომ მოსწყვდა დურუჯა.



გუნდი კი ტაძრად ჰიმნებს აგრძელებს  
და გვეუბნება დასტოვეთ ზრუნვა  
ჰირი ღლიური სოფლის მანძილნი  
და ჯოჯოხეთის ქვეყანად ბრუნვა.  
დაუტეოთ აწ ზრუნვა ყოველი  
ღლიური ურვა და ლუკმა პური  
ზეცის ძალთაგან შველას მოველი  
მათკენ მიპყრია მე გულისყური.



ჩვენც გვქონდა ერთ დროს რამ საზრუნავი  
როცა ზეიმით საქმეს უდეჭით  
შევკაზმეთ ჩვენი პატარა ნავი  
ჟყეანეში გზას გაუდეჭით.  
დავტოვეთ ძველი ჩვენი ნავთსადგური  
ზღვაოსნობის კი არრა ვიცოდით  
ქართული ჟინით, ქართული შურით  
და ქართველური ცეცხლით ვიწოდით.  
ახალ ნავთსადგურს ვერ მივაღწიეთ  
(რომელ მზეებზედ ის ოქვენ გეგონათ?!)  
დაიმსხვრა ნავი და გავიწირეთ.  
ასეთი საქმე მონებს შვენოდათ,  
ჩვენ გვიტაცებდა კითხვა მორიგი

და აზროვნება ჭიუას იკლებდა.  
უდაბურ რიყით დაგვყავდა იგი  
ვინც ცხოვრებისკენ გზებს იკვლევდა  
ჩვენ მივატოვეთ უძღებ შვილივით  
მამის სახლ - კარი, ძმა და გოშია  
და გადავვარდით შვების მტილიდან  
გველებით სავსე ცხელ უდაბნოში.  
სიმშილი გვკლავდა, მეღორეობა  
ვილაცა უცხო თესლთან ვიკისრეთ.  
ასპიტი გვწამლავს და მორიელი  
და ბასილისკო გვიდგა მოისრეთ  
ღორების საჭმელს სიშმაგით ველი  
და როცა სული - სულს დაებირა  
გარდაცვლილიყო ჩვენი მშობელი  
და მისი დაბა სხვას დაეჭირა.  
აშ ჭირს სხვა ჭირიც თავზედ დაერთა  
შენ გზები ისე მოლიპ - მილიპე.  
„ამდენი ხანი მე ვიყავ თქვენთან  
შენ კი მე ვერ მცნობ დღესაც ფილიპევ“ 6)  
მოკლე ზღაპარი ძველი თაობის  
წინდი მყობადის ჩვენი ღროისი  
როგორ შევქმნიდით ჩვენ სხვა თაობას  
როცა არ ვიცით: რაა მაისი.  
სხვაც ბევრი გვქონდა ჩვენ საზრუნავი  
და დაგვავიწყდა თავი და თავი.

— X —

ზეცის სამსხვერპლოს სწვდება საჭმელი  
როგორც აბელის მსხვერპლი უმანკო.  
ამ ნეტარების წამს ლოცვით გელი  
მინდა გამლერო —— მინდა შეგამკო.

იხსენიებენ სახელთ გარდაცვლილთ  
 იმათ ხსენებას ბევრი შეჰნატრის  
 მათ არ იხილეს თვის ცხოვრების სვლით  
 შხამი ძმის ოოგორც დაუნდობელ მტრის,  
 მათი იყოს მცა ხსოვნა მარადი!  
 და ლვთის მშვიდობა იმათ დაიცავს  
 იმათ ცხოვრების ფერად - ფერადებს  
 ბრწყინვალე შუქი გარემოიცავს.  
 ჩვენზედაც დგება საყდარში რიგი  
 და თუ მის მაღლმა არ დაგვიფარა  
 ჩვენ ვერ გვიშველის ვერც ერთა ლიგა  
 ვერც ხევსურეთის მოუანგო ფარი,  
 ჩვენ ურვიან გზებს ლმერთს აბარებენ  
 ჩვენ მატარებლებს მოლიპული გზით  
 ქართველ წმინდანთა გუნდს ავალებენ  
 რომ წინ გვიძლოდნენ მიზნიან გეზით.  
 რომ ლვთის სინათლე ჩვენ გვინათვიდეს  
 ბნელი ცხოვრება სამხრად აქციოს.  
 ჩვენი ნაშენი სახულაკები  
 ნათლის სასახლედ გარდააქციოს:  
 დედა ავედრებს ლვთიურ დედაკაცს  
 გამორიყულებს იქაც და აქაც.



„რალაა იგი სინათლე, რასაცა ახლავს ბნელია“  
 სთქვა ერთხელ შოთამ და ჩემთვის გაგება ამის ძნელია.  
 მაგრამ მეორე სიბნელე მე მესმის კარგად მელწევა  
 რომელიც სინათლეს ებრძვის, სინათლეს კი ვერ ეწევა..  
 რას შიშნავს ჩვენი ნათარგმნი „და ბნელი მას ვერ ეწია“ ?)  
 ჩუ თუ იმიტომ რომ ვიღაც სიბნელეს უხვად ეწვია  
 არა მგონია „ეწია“ არის ქართული გრძნეობა

ენის სიმდიდრის ნაყოფი და გრძნობათ უამრეობის.  
ვერსია მეტყვის: „სიბნელემ ნათლის შეგნება ვერ  
„შესძლო“  
და მეორე კი: „სიბნელეს ნათლის შეპყრობა ვერ ეძლო“  
და არის ბრძოლა მას აქეთ — სათავეს ვერვინ მიაგნო:  
არის სიბნელე ბოროტი თუ არ სიბნელე უგონო.  
ჩვენი მთარგმნელი ამ ალაგას ინტუიციით ეწია  
როდესაც მან ჩვენ მოგვითხრა: „სიბნელე მას ვერ ეწია“  
სიბნელე არის იმისთვის ბოროტება და უვიციც,  
მიაგნ შენ ჩვენ ბუნებას, ჩვენი სასულე შენ იცი!  
რომ შნ დროშიაც არ სჩანდა ქართლი უმანკო და წმინდა  
მე მსურს მის სიღრმეს ჩაუწვდე, ამის გაგება მე მინდა.  
მემატიანის სიტყვების ერი მარტივი და სადა  
ერი ლიტონი მითხარი — ნეტავ სადაა ეს სადა?!



წირვა სრულდება და ქერუბიმებს  
იდუმალი და უხილავ წესით  
შეფე დიდების დაჰყავთ შუბებზედ  
აღმაფრენით და ვნების ტალკვესით.  
მაცხოვარი და მეუფე ყოვლის  
ყოველთა არსთა შემწყნარებელი!




ჩემი ოცნებაც თავის ფრთებსა შლის  
მისდევს ანგელოზთ როგორც მხლებელი.  
და იმართება აქ ლიტანია.  
გოლგოთის მსხვერპლი კვლევ მეორდება.  
მღდელნი იხდიან ჩუმ მეტანიას,  
და დედამიწა მიწას შორდება.

და მისტიურად განცდილი წუთი  
წყალით და ლვინით დაიფერება  
ძველი უდაბნოს რჩეული მითი —  
ახალი ალთქმის ტანჯულ ფერებით.  
შემდეგ მეუფე შუბებს ეხსნება  
დაბლა მიწაზედ დაისადგურებს  
ეს არის მისი ღვთიური ნება  
რომ ხრწნილში ეძებს თვისთვის სადგურებს.  
რომ ხრწნილი კაცი ცოდვათ მორევი  
განასპეტაკოს და აღამალლოს!  
ამდენ სიყვარულს მე ვერ ვერევი  
ამდენ სიმდაბლეს დიდების მაღლის!



შენც ემსგავსები ციურ მაცხოვარს  
ჩემო ქვეყანავ, ჩემო სამშობლოვ,  
შენც გატარებენ მახვილის წვერზედ  
უცხო ძალები დაობლებულად,  
ჯუნდი არაა ეს ანგელოზთა  
არამედ მიწა და ძალნი მისნი  
არაბნი, სპარსნი და სარკინოზნი  
თურქნი, სკვითელნი და შენი თვისნი.  
შენც ეძებ ბინებს, ეძებ სადგურებს  
მაგრამ რომელში დაისადგურებ  
ქართლოსის შვილში აღარ გაქვს ბინა  
მან სულ სხვა ხატნი გარს მოიფინა!




ოხ, ამოდენა ცოდვის მხილებით  
ვიყავ ტანჯული და მოწამლული

ძალგვიძს ჩვენ კიდევ გარდაქმნილება!  
ძალგვიძს განვაპოთ ზღვა მეწამული!  
შენ გსურს რომ იყოს აქ დასასრული  
კეთილი, კარგი და ბედნიერი.  
ვსოდეთ: ჩვენი ერი არის ხნიერი  
და ამისგამო იქნება სრული.  
შენთვის არ კმარა თუ აქამდისინ  
რისხვა არ შეგვხვდა როგორც გომორას:  
უმაღლე ბავშვებს, უმაღლე დედებს,  
უმაღლე მწყემსებს და მათ ჰომეროზს.



კოტეს გ) ჰანგებსაც მე ვერ წავბაძამ  
ნაცარ - ქექია ჩვენ გვიხსნის, ვიტყვი,  
იგია ჩვენი ცხოვრების ბოძი  
მოიგერიებს მტერს თავის რისხვით,  
ნაცარ - ქექიის არაფერი მწამს  
და არც არასოდეს რამ მეწამება  
იმისი თვალი და ყური მიწას  
არცა შორდება, არც ეწამება.  
სიმინდის ზევით თუ კიდევ არის  
რამე ქვეყანა, რამე სამყარო  
მისთვის ერთია. იყოს მაძლარი!  
მასზედ იმედი როგორ ვამყარო!.  
პატარძლეული ხეფაანთ დათა  
არის ორფეხზედ მავალი დათვი.  
.კარდანახელი ამაყი დარჩო  
თვის ხელს მარჯვენას მარცხნით ვერ არჩევს.  
და ხანდაკელი გლეხი ჭრიჭინა  
თეძამში ცხენებს არ გააჭენებს.  
იმათვის არის დიდი სიბილწე

თუ თაგვმა მათი ქვევრი წაბილწა  
ნიკა, გიგუა, ბალა ქიტესა  
თვისი პურისთვის ჯვარს აცვამს ქრისტეს.  
მე დღეს არავის, არავის ვაბრალებ  
შხოლოდ უსაზღვროდ მებრალებიან.



მე არ მივმართამ ალეგორიებს  
არ ვიტყვი: ერთხელ ცა გაიხსნება,  
ჰეცა გადმოვა ალილიერის  
და ნათელს ბნელში გზა გაეხსნება.  
მუქთახორობას არ დაგვაჩვია  
ჩვენმა ცხოვრებამ. რაც მივაღწიეთ  
მას ჩვენი სისხლით ნაპოვნი ჰქვია.  
მისი სიმძიმე ჩვენვე ავწიეთ.  
სახე მე არ მჭირს ალეგორული  
არც განცხადება და არც სიმბოლო,  
თავი ამ სიტყვის იყო ქართული  
იყოსმც ქართული ამ სიტყვის ბოლო.



მე დღეს არვის არ ვეკამაოები  
არცა მჭირია რომ კიკამათო.  
არ ვარ პარტიის წევრი მართები  
საპნის ბურთისთვის კამათი ვმართო.  
ისე სდგას მაღლა ეს ჩემი სიტყვა  
თქვენ ნაცოდვარზედ, ნათქვამ, ნაფიქრზედ  
რომ ის წალეკავს მათ როგორც სეტყვა  
შენც მიმიხვდები თუ დაუფიქრდი.

ეს ჩემი სიტყვა შეიქმნა ტანჯვით  
 შეყენებული მწერდა წერილებს:  
 „მოიხსენ პირით დუმილის ჯაჭვი  
 და უპატრონე ქართლოსის შვილებს“.  
 მხოლოდ სიკვდილი, მხოლოდ დანგრევა,  
 მხოლოდ ხრწნილება და ცეცხლში დაწვა  
 თქვენ შეგიძლიანთ. მისი ბუნების მწარედ აღრევა  
 და წითლად ხოკვა იმისი ლაწვის.  
 თქვენ ავადმყოფურ ოცნებით უსპობთ  
 იმას რაც კიდევ დღეს ჯანსაღია  
 რისთვისა ხოცავს თუ ახლებს ვერ შობს  
 ეგ თქვენი აზრი მდარე და მძალე!  
 ჩვენ ვართ მშვიდობის მქადაგებელნი  
 სათნოებისა და სიყვარულის  
 ჩვენ ნავალ კვალებს გზაზედ ეგება  
 სრული ცხოვრება და სიხარული.  
 ჩვენც გვსურს თქვენსავით. მიტომ მოველით  
 რომ ქვეყნად ცეცხლი ჩამოგვეტანა  
 და თუ მის კვალი დააჩნდა სოფელს  
 ამას დაგვმადლის მემატიანე.  
 სიკვდილის უმალ მკვდრეთით აღსდგება  
 ორბისა მსგავსად ახალი არსი  
 მოძმეთ წინაშე პასუხის გება  
 იქნება მისი სვლის შინაარსი.  
 ჩვენ ვსპობთ მხოლოდ მას რაც ცოდვილია  
 ხელით კი დაგვაქვს შენთვის მალამო  
 ვართ ძველი შჯულის მკაცრი ილია,  
 ხვედრათ კი გვერგო ჩვენ დღეს ბალამო. 9)



მეც მას გპირდები რაც შემიძლიან  
 ფანტაზმებით გზებს არ გაგიხლართავ

რაც შენში ბედით მწარედ იძლია  
მას მივაღები, იმას მივმართავ.  
და თუ ჩვენ მხარეს ოდეს ელირსა  
მკვდრეთით ალდგომა და განახლება  
ეს ჩემი სიტყვაც შენთვის ულირსი  
იმის შენობის კუთხეს ახლდება.

გრიგოლ ფერაძე

ღვინობისთვე, 1929.  
ქ. ბონნი.

---

### შენიშვნები:

- 1) ჩალხის გადმოცემით, 5 იანვარს წმ. აბოს წამების დღეს, ტფილისში, მოწამეთა ხილთან ჩნდებიან მისი მტკვარში არაბთა მიერ გადაყრილი წმ. ნაწილები.
- 2) ე. ი. ვერგახლება ტყვედ.
- 3) მარკოზი 2,9.
- 4) რაფი, ცნობილი რომანისტი მე-19-ე საუკ., რომელიც მომეტებულ წილად იღებდა სიუჟეტებს ტფილის ცხოვრებიდან.
- 5) სიონის ტაძრის შენება, დაწყებული ვახტანგ გორგასლანის მიერ, დაასრულა გვარამ მეფის დროს ერთმა უცნობმა ქვრივმა (იოსელიანი, სიძველენი ქალაქ ტფილის, (რუსულად, ტფ. 1866), გვ. 94).

6) ოოანე 14,9.

7) ოოანე 1,5.

8) კოტე მაყაშვილი.

9) ბალამი, წინასწარმეტყველი ძველი შჯულის,  
დავალება ჰქონდა შეეჩენებინა ებრაელთა ერი — მაგ-  
რამ შეჩენების მაგრებ იგი აკურთხა. რიცხვთა 22, 23, 24.



## Б 0 3 6 м в 3 м 8 0 .

ამა წლის ივლისს, პარიზში გარდაიცვალა გენ. ივანე ჯაფარიძე. განსვენებული დღიდან ჩვენი მრევლის და-არსებისა, ენერგიულ თანამშრომლობას იღებდა ჩვენ ეკ-ლესიის ცხოვრებაში: უკანასკნელი ორი წელიწადი იყო ჩვენი ეკლესიის მნათე და წევრი სამრევლო საბჭოს. წირვის დაწყების წინ, იდგა უკვე ნეტარხსენებული თა-ვის სანთლის მაგიდასთან და მიუხედავად თავის წლოვა-ნობისა და ავაღმყოფობისა, ყოველთვის მუყაითად და თავმდაბლობით ასრულებდა თავის მოვალეობას.

მომავალ ნომერში მოთავსებული იქნება ბიოგრაფია და დახასიათება მოღვაწეობის განსვენებულის.

ნეტარ არს გზა, რომელსა წარმართებულ ხარ შენ  
დღეს, რამეთუ აღგილი განსასვენებელი მიგელის უნ.

3. 3.

## რედაქციისაგან.

მივიღე ბ. ექვ. თაყაიშვილის წერილი, რადგან იგი შეეხება ჩვენ მრევლს და ჩემი მისდამი დამოკიდებულებას — დაბეჭდილ იქნება პასუხით ჩვენი მრევლის ინფორმაციულ ფურცელში, რომლის მეორე ნომრის გამოშვებას ვაპირებ, თუ შევძელი, საშობაოდ.

Տարբերակ 2. յեմու դեռ օրինակ  
- յի ցուցանիւթեան հաջողական...  
1995, 83: 153 (հայոց լուսաւ)



გილამართი : K. DADECHKELIANI, 4, rue Récamier,  
**Paris (VII). FRANCE.**

**R. P. Gr. PERADZE, Sygmuntowska 13, Warsaw**  
**4. POLOGNE.**